


იზმკიმ

1884

№ I, იანვარი



თბილისი.

ექვთიმე სულაძის სტამბა.

1884

შინაარსი:

I.	არიელ ენათა ჯგუფი და ქართული ენა 3. მიწიანაშვილისა	3
II.	საანდაზო ლექსები (ამოკრეფილნი «კეფხვის ტყაოსნიდამ», ქილილა და მანიდამ» და «გუ- რამიანიდამ (შემდეგი)	27
III.	ლამით მზიანი ქვეყანა ანუ მეცტია და ნორვეგია	42
IV.	ირაკლი და კობტა ბელადი (ლექსი) კ. მ.-სა	61
V.	განკიცხული (მოთხრობა) ა. მოჩხუბარძისა .	67
VI.	<u>ბიბლიოგრაფია, «ნობათი», ყრმათათვის საკითხავი, ყო- ველ-თვიური სურათებიანი ყურნალი, პედაგოგიურის ნაწილის და- მატებით მშობელთა და აღმზრდელთათვის. სანიმუშო ნომერი. 1883 წელს, 24 დეკემბერს. თბილისი.</u>	101
VII.	შინაური მიმოხილვის მაგიერ მივიხედ-მოვიხედოთ. — ახირებული ბუდი. — რა მიზეზია. — სააგენტოები და ცენტრა- ლიზაცია. — ამაო ქებნა და დიდი ვითარება. — მხნენი და მარდვენი არა ხართ. — თითოეული და თითოეული კრებაა მიზეზი. — ჩვენი სკოლა. — ჩვენი მწერლობა და მეტყვე- ლება. — 200 ან 400 მკითხველი გაზეთისა ან ყურნალისა. — მწერ- ლობა დიდი აუდიტორიაა. — ავიღოთ მაგალითი. — თეატრს რაღა უშლის. — თეატრი ომარ-ხნობის დროს. — უწინ ასე იყო და დღეს ასეა. — წინ-სვლა და წარმატება ეს არის. — რეპერტუარი და უწინ- დელის თეატრის შემატყაზე. — ხათარგმნი და გადმოკეთებული პიე- სები და ვოდევილები. — დედა-აზრს არ ვადგევართ. — იგივე დიდი მიზეზი და საერთო ვითარება. — ეხლანდელის თეატრის დასი. — წარმოდგენა 22 იანვარს. — თეატრის ხელმძღვანელი. — ჩვენლების თეატრი.	111
VIII.	განცხადებანი ამ წიგნში დაბეჭდილი სტატია «შინაური მიმო- ხილვის მაგიერ» — ვერ იბეჭდება ისე, როგორც დაწერილი იყო.	

ივერია

43
1884 / 2

საპოლიტიკო და სალიტერატურო
ჟურნალი

წელიწადი მერვე

№ 1

თბილისი

ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე
1884

Довволено цензурою. Тифлисъ, 21 января 1884 г.

არჩიელ ენათა ჯგუფი და ქართული ენა.

უკუა განათლებულ ქართველს მოეხსენება, რომ ქართული სიტყვიერება ზოგადის ენის მეცნიერების ახალი ნაწილია და, რადგანაც მეცნიერთა ყურადღება მას აქნობამდე ვერ ჰქონდა მიქცეული, როგორც ჯერ იყო, ამიტომაც არ არის იგი დაწვრილებით განვითარებული, როგორც მაგ. კლასიკური ფილოლოგიის არის. ახლა ჩვენ, იმ ინტერესის მხედველთა, რომელსაც იჩენენ უკანასკნელი ლინგვისტები ქართულის ენის შესწავლაში, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არამც თუ საზოგადოდ ჩვენი ენა და ლიტერატურა გაირკვევა, არამედ, შესაძლებელია, რუსთაველის ენაც კერძოდ იქნას ფილოლოგიურად გამოკვლეული. ქართულის შესწავლის სურვილი ნამეტურ საფრანკეთის ლინგვისტებს შორის უფრო არის აღძრული.

სანამ პირ-და-პირ საგანზედ ვაღვიდოდეთ, საჭიროდ ვჩანს, თრთოდე სიტყვა ვსთქვა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ფილოლოგიას და რას უნდა მისდევდეს იგი.

კაცის არსებაში მეტყულება ისეთი ძლიერი საქონელია, რომ რასაც გრძნობს ან ცნობს იგი, უოკალივე ცხადად იხატება მის სიტყვაში. კაცის მოქმედება გონების ნიშან წყალს მოკლებული იქნებოდა და შეუძლებელიც განდებოდა იგი, რომ ასე არ ყოფილიყო. გონიერობა და მეტყულების ნიჭი ადამიან-

ის ბუნების ცხადი მომასწავლებელი არიან და ეს ორი თვისებაც ერთი მეორესთან მჭიდროდაც არის დაკავშირებული. რადგან ყველაფერს, რაც კი შეადგენს გამოკვლევის საგანს, თვისი დასახამი აქვს, ამიტომაც არც კაცის გონება და მეტყულების ნიჭი არის დაუსახამო, თუმცა განუყოფელი კი არიან ერთმანეთისაგან. კაცის მეტყულების გამოკვლევას, მის დასახამის მიგნებას ის ინტერესი აქვს, რომ ამ ღონის საშუალებით გვინათლდება გზა, რომლითაც შეიძლება მიგნებულ იქნას მთელი კაცობრიობის დასახამი, მისი წარმოდგომა. აი რა შეადგენს აწინდელი ფილოსოფიის საგანს. ეს მეტად დიდი და საყურადღებო საგანია. ვიცით, ადამიანს მეტყულების ნიჭი აქვს და მრთელი კაცობრიობაც სსკა-და-სსკა ენით ლაპარაკობს. ამ მოკვლევების ახსნას ძველ დროშიაც ჭეუჭეობდნენ, როგორც მაგ. მოსე წინასწარმეტყველი ბაბილონის გოდოლის შენების მოთხრობაში.

ენის მეცნიერება იკვლევს, როგორც კაცის გონების, ისე მის მეტყულების ვითარებასაც და რამდენად უფრო ბევრი ენა იქნება ფაქტიურად შემუშავებული, გამოკვლეული, იმდენად უფრო და უფრო ნათლად გვეჩვენება კაცის მეტყულების დასაწყისი. ეჭვი არ არის, რომ ამდენი სსკა-და-სსკა ენების წარმოდგომა იმის მიზეზია, რომ კაცთა ნათესავის პირველი ოჯახი სიმრავლასა და სამკვიდრებელის სივიწროვის გამო, დაშლილა, განმარტობულა სსკა-და-სსკა ალაგზე გადასულით და ჭავისა და ადგილობრივის პირობების წყალობით ამ კაცთა ნათესავის განსაკუთრებულ რტობებს ასე თუ ისე განუსაკუთრებიათ სსკა-და-სსკა ენები. ამ ენების შედარებითი გამოკვლევა ცხადად მიგვიყვანს კაცობრიობის პირველ სამყოფელთან. ამასობაში საჭიროა სიტყვა იქმნას გამოკვლეული, როგორც გამოთქმის, ისე

მნიშვნელობის მხრითაც. სიტყვაში უთუოდ უნდა გამოსტკივრდეს კაცობრიობის თავ-გარდასაკლისა და მისი კულტურის წარმატება. ამ გამოკვლევით ვსწავლობთ საზოგადოდ კულტურის ისტორიას. რადგანაც ენის მეცნიერებამ თან-და-თან დააჩვენა ლინგვისტები, რომ ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია, ალარ დაკმაყოფილებულან ხუთი-ოდე ენის გამოკვლევით, ანამედ უფრო ვრცელად მოჭვიდეს ხელი ამ საგანს და გამოიძიეს დიდ-ძალი ნაწილი იმისთანა ენებისაც კი, რომელთაც მწერლობა არა აქვთ. რასაკვირველია, რომ მწერლობის მექონე და განკათარებულს ენებს არა ნაკლებ ყურადღებას მიაქცევდენ. ამ გვარად დაიწყო კლასიკური ფილოლოგია; მოჭვიდეს ხელი სანსკრიტურსა და ზენდურს ენებს, გამოიძიეს ბაბილონისა და ასირიის ლურსმური წარწერები, გარკვიეს ეგვიპტის ჰიეროგლიფები და სხვ. ამასობაში ჩვენმა ქვეყანამაც მიიზიდა მეცნიერთა ყურადღება, რომელთა დასიც იკვლევს ქართულს მწერლობას და ენას მისი იდიომებიტურტ. ამას ზედ დაერთო ვანის ლურსმური წარწერები, რომელნიც ქართულნი აღმოჩნდნენ, რთგორც ამბობს ლენორმანი და ამ გვარად ეს საგანი თანდა-თან სანტერესო ხდება.

ეკრთვიელი მეცნიერები ქართულის ენის შესახებ სულ სხვა-და-სხვა ნაირად სჯიან. მის გრამატიკულს წყობას სხვადა-სხვა თვალთ უყურებენ. ყველას მხედველობის წერტილად აღებული აქვთ შედარებითი ენის მეცნიერება და ამ მეთოდით ხელმძღვანებულნი დაასკვნიან შემდეგს სამს ჭარს, რომელნიც საფუძვლად აქვს სამს სხვა-და-სხვა მიმართულებას: ერთნი მეცნიერნი ამბობენ, ქართული ენა ინდო-ევროპიულის (არითულის) ენების ჯგუფს ეკუთვნისო; მეორენი ამტკიცებენ — ქართული ენა თურქანის ენების ჯგუფის შტო არისო; მესამენი

გი არც იქით არიან და არც აქეთ. ივინი ჭკონებენ, რომ ქართული ენა თავის მონათესავე იდიომებითურთ განსაკუთრებული ენათა ჯგუფის წარმომადგენელია.

ევროპულ მეცნიერთაგან პირველად ლეიბნიცმა წარმოსთქვა, რომ ქართული ენა ბერძნულის, ლათინურისა და სომხურის მონათესავე არის და კიდევ უჩვენა თავის ჭაზრის დასამტკიცებლად მრავალი ქართული სიტყვები, რომელთაც აქვსთ მსგავსება ბერძნულ-ლათინურ-სომხურთან. სიტყვების მარტივის მსგავსებით კიდევ არ აიხსნება ერთი ენის მეორესთან ნათესაობა. შეიძლება ივინი გადატანილი იყვნენ ერთი ენიდან მეორეში მწიგნობრობისა თუ მისკლას-მოსკლას საშუალებით; მაგრამ ეს არის საგულისხმო, რომ ბევრი იმისთანა ბერძნულ-ლათინურ-ქართული სიტყვებია, რომ ეჭვში შეყვანართ მათ დაკვირვებას და ძნელი გასაგებიც არის, რომელი რომლისაგან არის წარმომდგარი, ბერძნულ-ლათინური ქართულიდან, თუ ეს უკანასკნელი მათგან. მით უფრო. სანტერესონი არიან ამ გვარი სიტყვები, რომ მათი ფესვები, როგორც გამართებით, რასაკვირველია, ხან-და-ხან ცოტა გადასხვაფერებულით, ისე მნიშვნელობითაც, ძლიერ ემსგავსებიან ერთმანეთს. ამის მაგალითებს ქვემოთ მოვიყვანთ. განსვენებული ბრესსეც თითქმის ლეიბნიცის აზრისა იყო. თავის სტატიებში ეს უროფეასორი გულმოდგინედ ამტკიცებდა, რომ ქართული ენა ინდიულ-ევროპულ ენებს ეკუთვნის. ამ ჭაზრის თანამგრძობელი იყო და ახლაც არის ჩვენი მოხუცი უროფეასორი ბ. დაკით ჩუბინაშვილი, რომელიც ამბობს «გაზაღოკის ძველთა და ახლთა ძვედრთა ეთნოგრაფიულ მიმოხილვაში», რომ ჩვენი ენა შეადგენს ერთსა დასგს ინდოევროპიულ ენებისას, ძალიან ძველია და შევკლავი დროთა ვითარებისა-

განა. ბოძვი კი, რომელიც ითვლება შედარებითის მეთოდის დამაარსებელად ენის მეცნიერებაში, თითქმის აგვირგვინებდეს ქართული ენის ინდიულ-ეკროპიულობის ჭარბს, ასე დაწმუნებული ჭსჯის. ამ მხრივ მასზედ უშორეს არავინ წასულა; მან არა თუ ქართული, არამედ მისი იდიომებიც: ჭანური, მეგრული და სვანური ერთი მეორესთან შედარებით დაუნათესავა სანსკრიტურს ენას.

მეორის მიმართულების წარმომადგენელად ითვლება მიულერი. ეს მეცნიერი ამბობს, რომ ქართული ენა და მასთან მრთელი კავკასიის ენები თურქანის ენების ჯგუფს ეკუთვნიანო, ძლიერ ადრე დაშორებიან მას და ამიტომაც არიან გადაგვარებულიო.

მესამე მიმართულებას წარმომადგენს კლაპროტის ჭარბი. ეს მეცნიერი ამბობდა, ქართული ენა კავკასიის სხვა ენებთან ერთად განმხორციელებულია და კერძოდ მდგომარის ენათა ჯგუფის წარმომადგენელიაო, თუმცა ინდიულ-ეკროპიულ (ეკროპიულ) ენებთანაც დიდი მსგავსება აქვსო. ამ მიმართულების მიმდევარი დღეს ბ. ცაგარელია და ცდილობს კიდევაც თავის ნაწერებში გაამართლოს იგი. ამან უფრო გარკვევით დაადგინა ქართულის ენის თვით-მდგომარეობის კითხვა, და მას გარს შემოუხვია მეგრული, ჭანური, სვანური, საზოგადო იურიულ ენათა ჯგუფის სახელით; მაგრამ საჭკეუნოდ კი არ არის ჯერ-ჯერობით აღიარებული ეს ჭარბი, რადგანაც ამ მიმართულებას ჯერ ბ. ცაგარელი ჭყავს მოთავედ.

ქართულის თვითმდგომარეობის შესახებ ბ. გიორგი წერეთელ-

მაც დასწერა «კრებულში» სტატია, რომელშიაც ბევრს ქართულ სიტყვებს აღარებდა არიულ ენების სიტყვებს და აწარმოებდა მათგან. არიულების ისტორიის წინა-დროების აღმნიშვნელი სიტყვები თუ მოიპოვებინ ქართულშიაც, ესენი ჯერ კიდევ არ არიან ერთიან შეკრებილი, და თუა, ისიც არა დიდძალი. ამ გვარი სიტყვები რამდენიც ბევრი აღმოჩნდება ჩვენს ენაში, იმდენი უფრო ცხადი იქნება ქართულის ენის არიულაობა. აქვე საჭიროდ ვრაცხ ვსთქვა გაკვრით ორიოდ სიტყვა თვითონ ინდიულ-ევროპელების (არიულების) ისტორიის წინა-დროებისათვის. ინდიულ-ევროპელებს აღარ ახსოვთ ის მხარე, საიდგანაც გამოსულან, როგორ მოშენებულან იმ ალაგებზე, სადაც ისტორიას აღმოუჩენია იგინი. ეს ხალხები თუძცა არ უჩვენებენ თავიანთ უწინდელ სამშობლოს, მაგრამ კვდი არ არის, რომ არიულებს ექნებოდათ საერთო ალაგი და იმ ენებსაც, რომლებზედაც დღეს აღაპარაკობენ ესენი, უნდა ჰქონდეთ საერთო დასაბამი, უნდა იყენენ იგინი ერთის ენისაგან წარმოდგარნი, რომელზედაც უნდა ელაპარაკნათ პირველ ხანებში, როცა შეადგენდენ ერთს ოჯახს და სცხოვრობდენ ერთს ალაგს. დღეს უჩვენებენ მარტო ორს ხალხს, რომელთაც ჰქონიათ დაცულნი სამღვთო დაკედრებანი. პირველი მათგანი ირანელები არიან, რომელნიც მკვიდრობდენ ძველ ბაქტრიაში და მათ ენას ერქვა ბაქტრული. ამათ საღვთო სახსოვარ წიგნს ჰქვია ავესტა, რომელიც შეიცავს უწინდელის ცხოვრების ბევრ მკირფასს ცნობას. იგინი თავიანთ წინაპართ სამშობლოს ამბობენ ირანიდგან ჩრდილოეთისკენ, სადაც ზამთარი ძლიერ მოკლე იცის. მეორე—ინდიელები არიან. ამათს სახსოვარს წიგნს ჰქვია ვედა, რომელიც არის საღვთო საგალობელთა კრებული. ამ კრებულში მოხსენებულა გეოგრაფიული ჩვენებანი იმ პირ-

კულ სამყოფისა, საიდგანაც გამოსულან იგინი, სანამ მოვიდოდნენ იმ ალაგებში, სადაც ისტორიული ცხოვრება დაუწყუიათ, ე. ი. ინდოეთის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც ზამთარი არ იცის. ამ არიულების ისტორიაში ვხედავთ, რომ იგინი წელიწადს ზამთრობით სთვლიდენ. ცხადია, რომ არიულები ცხელ ქვეყნებიდან არ იქნებიან მოსულნი, თუთონ ჰენჯახში მათ ცხელი ჭავა დახვდათ; ქვეყნის ცივი ჭკერიდან სულ არ იქნებოდნენ და ძნელი საფიქრებელიც არის, რომ გაცობრობას თავ-და-პირველად ქვეყნის ცივ სარტყელზედ მოვიდოს თუხი. დაგვჩენია ერთი ზომიერ ჭკვიანი ქვეყნები, სადაც შესაძლებელია, როგორც მრთელ გაცობრობას, ისე კერძოდ არიულებსაც მისცემოდეს დასახამი. აქვე ვსთქვათ, რომ სანსკრიტურად ზამთარს ჭკვია «სიმა», რომელიც ძლიერ ძველია და უკულა არიულ ენებშიაც იზოკება. ძველი ირანული «სემო», თითქმის იგივეა, რაც სანსკრიტური. ქართულშიაც არის ეს სიტუვა, მხოლოდ დამატებითი ეტიმოლოგიით, როგორც მაგ. «ზამ-თარი», რომლის მეორე ნაწილი არის იგივე სანსკრიტური «თუჭარა» და ნიშნავს თოვლს. «სემო თუჭარა»-სგან წარმომდგარა დროს განმავალობაში ზამთარი, რომელსაც აღუნიშნავს საზოგადოდ წელიწადის დრო და «თუჭარა» კერძოდ გამხდარა ამ დროის გამომხატველი და შეცვლილა სიტუვად «თოვლი» ეს ზევით ხსენებული «სიმა» ინდოეთის ნიადაგზედ არ დაიხადებოდა, რადგან აქ ზამთარი არ იცის; უთუოდ უნდა იყოს ნამოგზაურები ბაქტრიის კერძო ქვეყნებით და ყოველ შემთხვევაში არა სამხრეთ რუსეთიდან, როგორც ჭგონათ რუსის მეცნიერებს. იგინი ამბობენ, რომ ინდოელების პირველ სამყოფ ალაგებმა ისეთი სუსხიანი და მძლავრი ზამთარი იცოდა, რომ წელიწადებს

უამთრობით სთვლიდნენ. შეიძლება რუსეთიც იყოს, მათის ჭაზ-
 რით, არიულების პირვანდელი სამყოფი, რადგან რუსეთს უამ-
 თრის ხანგრძლივობით, პირველი ალაგი უჭირავს სხვა ქვეყნებს
 შორის და რუსულ ენაშიაც არის მსგავსი სიტყვა: «зима» (ზი-
 მა), გარნა რატომ შესაძლებელი არ არის, არიუებს, უომიერ
 ჭავიან ქვეყნებში მცხოვრებით, უამთრობით ეთვალათ წელიწა-
 დები. უომიერ ჭავამ ხან-და ხან უამთარი არა ჩვეულებრივი
 იცის, მაგრამ მით განსხვავდება სუსხიანისაგან, რომ თოვლ-
 თან ყინვა თითქმის უღონა და ხან თოვლიც იშვიათი. ამ გვა-
 რი მოსაზრება რუსის მეცნიერებს სხვა კითხვებშიაც ატყვიათ,
 მაგ. უომიერთები დაჩემებით ამტკიცებენ, რომ ხალხთა მო-
 ძრობის ალაგი კასპიის კერძო რუსეთი იყო, ამასობაში კი
 საქართველოს მნიშვნელობას ხალხთა მოძრობის ისტორიაში
 თითქო განგებ სტოვებენ. სამხრეთ რუსეთს გარდა, თუძცა
 საშუალო გერმანიასაც ჭგონებენ უომიერთი მეცნიერები არიუ-
 ლების პირვანდელ საცხოვრებლად, მაგრამ ამ კითხვას მტკიცე
 საფუძველი არა აქვს. საზოგადოდ არიულების პირვანდელ სა-
 მშობლოს კითხვის ასახსნელად მიღებული აქვსთ ოთხი სი-
 ტყვა: «sal» (სალ) მარილი, «mare» (მარე), «asinus»
 (ასინუს) ვირი, «catus» (კატუს) კატა. ეს ოთხი სიტყვა
 სანსკრიტურიდან მოკიდებული ყველა არიულ ენებშია; ხო-
 ლო «asinus» (ასინუს) და «catus» (კატუს) ძველადგანვე
 სემიტურის ძირისაგან არიან წარმომდგარნი. ამ სიტყვების
 შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ მესამე სიტყვას გარდა ყველანი
 მოიპოვებინა ქართულშიაც. თუძცა სიტყვას «sal» (სალ) პირ-
 და-პირ არ ჭგავს ჩვენებური სიტყვა «მარილი», მაგრამ შეი-
 ძლება ამის ძირი შედარებულ იქმნას «mare»-ს (მარე) ძირ-
 თან, რადგანაც მარილი უღვისაც არის, და თუ ტბებშიაც

მოიპოვება იგი, ახლანდელი მარჯის ტბები ოდესმე არსებულის
 ზღვის მომასწავლებელი არიან; საგულისხმოდ ესეც უნდა
 ვსთქვათ, რომ სანსკრიტურად «misa» (მისა) ზღვასაც ნიშნავს
 და ტბასაც. სიტყვები «mare» (მარე) და «catus» აგრეთვე
 არიან, თუმცა პირველის მაგიერ საკუთარი სიტყვაცა გვაქვს:
 «ზღუა» და მეორე კია «კატა». საკვირველია, რომ «მოჩევს»
 იმერეთში, გურიაში, მგონია საქართველოს სხვა კუთხეებშიაც
 უწოდებენ დიდს და შეჩერებულს, ტბის მსგავსს, წყალს, რა
 გვარ ცნებასაც ხატავს თვითონ სიტყვა «ზღუა». ამ მხრით
 «mare» (მარე) და «მოჩევი» შორს არ უნდა იყვნენ ერთ-
 მანეთისაგან, მით უმეტეს, რომ ენების განვითარებაში ერთი
 ხმოვანის ასოს მეორე ხმოვანად გადასვლა ერთსა-და-იმავე
 ძირში, ჩვეულებრივი მოვლანებაა, როგორც მაგალითად რუ-
 სულ ენაში «mope» (მოჩე); მაგრამ არც ჩვენი «ზღუა» არის
 უცხო. გერმანიულ ენაში არის ამის მსგავსი სიტყვა «see»
 (ზეე), რომელიც ნიშნავს «მოჩევს» «ტბას.» ამ გვარად ვხე-
 დავთ, ცნებები არეულია და მათი გამომხატველი სიტყვებიც გა-
 დასხვავებულნი; ერთის ენის სიტყვა რომ ზღუას აღნიშნავს,
 იგივე სიტყვა, მეორე ენაში ცოტათი ცვლილებით ნიშნავს
 ტბას; როგორც მაგ. «mare» (მარე) და «მოჩევი»; «ზღუა»
 და «see» (ზეე) ერთმორგებით უახლოვდებიან ერთმანეთს,
 მნიშვნელობით კი ისე არა. არიორგობი ამ ხსენებული ოთხი
 სიტყვის შესახებ ამ ნაივად ფიქრობენ: არიელებს პირველად
 უცხოვრიათ იმისთანა ქვეყანაში, სადაც ყოფილა ზღუა და
 ნათხარი მარჯილი, მხოლოდ სემიტების მეზობლად კი, რად-
 განაც ვიჩი და კატა იმათგან გაუცვნიათ. ამ გვარი სხვა-და-სხვა
 მოსაზრებით დაჭეშმარიტებით ამტკიცებენ, რომ არიელები
 პირველად კასპიისა და შავ ზღვასთან დამკვიდრებულან; აქ

ცხოვრების დროს ერთი საზოგადო სახელი ჰქონიათ, რომლის კვალსაც ვხედავთ ძველს სპარსეთში, როგორც მაგ. მაზნა არია და სხვ.

არელები თავიანთ თავს არიას ეძახდნენ. ეს სიტყვა ძველ-ერ ძველიც არის და ეგუთვნის ისტორიის წინა-დროებას. სიტყვა არია ნიშნავს «კეთილ-შობილს, მშვენიერს, კეთილ-შობილს რჯახთაგანს». ამ სიტყვის შესახებ არ შემიძლია არ ვსთქვათ რაიმე სიტყვა. ჩვენგან მოყვანილს სიტყვებიდან ცხადად დავინახავთ, რა სუსტი ცოდნა აქვთ ქართულის ენისა ევროპულ მეცნიერებს. სიტყვა «არია» ბევრ ქართულ სახელ-წოდებაში გამოსტკეირს. ავიღოთ ჯერ სიტყვა «ერი». ქართულები ამბობენ, ჩვენ ერი ვართო და ეს სიტყვა შემკრებულობითი ცნების გამომსატკეულია, მის მსგავსად, როგორც «არია» ხატავდა მთელ არელებს ერთად. სიტყვა «ერი» ცხადად გვიჩვენებს, რომ არიულ ტომის განმარტობის შემდეგ არც ერთს ერს არ შერჩენია თავის ნამდვილი სახელი ისე, როგორც ქართველებს და ამასთანავე შესაძლებელიც არის, რომ ქართველები, სინამ «ქართველებს» დაირქმევდნენ, თავიანთ თავს «ერს» ეძახდნენ. ამ უკანასკნელ სახელზედ უფრო ძველი ჩვენი სახელი არის «იუერი», «იუერია.» ადოლფ ვიკტეს ზუსტით ი(ბ)უერია ნიშნავს არელების ქვეყანას, რადგანაც იბ(კ) კულტურად ქვეყანას და ერი გადასხვათერებული ფორმას არიისა, რომელიც უძველესი სახელია ინდიელ-ევროპულთ ტომისათ. უტკეულია უფრო დაბეჭდითებით იტყოდეს ეს მეცნიერი ამ ზუსტს, უკეთუ ცოდნოდ რომ ერი ქართულად ნიშნავს ხალხს. ბუნდუგეშაში, თარსების საღვთო წიგნში, სხვა ხალხებს შორის იხსენიება ერთი ხალხი, სახელად «ჰური», რომელიც ნიშნავს ქართველს. ჩვენ იუერიასაც რომ არია მოჩანს, შემდეგის მო-

საზრებით აიხსნება. ჩინეთის მატრიანები როგორც ამბობენ, ჰირკულ ხალხს ერქვა «ი», მრ. რიცხვში «ჭილ». სილლახი-კურის ენისაგან რომ განსახიერებულა ზენდური და სანსკრიტური, ეს «ჭილ» გამხდარა «ჭირი», «ჭაირი», ზოგიერთი გამართებით «ვირი», საიდგანაც არის წარმომდგარი ლათინური «vir» (ვირ) კაცია. ამ სახით სიტყვაში «იუერიას» ძირეული სახელწოდება არის «ირ», «ვირ», წევრითურთ «ი ვირ». მეორეთ იმ მოსაზრებით, რომ სომხები დღესაც გვეძახიან „ვირქ“; (ქ აქ მრავალ - რიცხვის ნიშანია). ასე რომ სიტყვები: ვირი, ვირქა, იუერი, იუერიას, აშკარად გვიმტკიცებენ, სიტყვა «ერი»-ც რომ არ გვეჩვენებს, რომ საქართულოს არიასთან დიდი კავშირი უნდა ჰქონდეს. იუ ვი ახლანდელი ენის მეცნიერები სიტყვაში «ირლანდია» ჰხილენ «არიას», ჩვენ რატომ არ გვაქვს საფუძველი, რომ სიტყვებში: ერი (ამას ხომ დამტკიცება ალარ უნდა), ვირქა, «იუერიას» ვეძებნათ «არია». რომ ასე არ ყოფილიყო სომხები ალარ დაგვიძახებდნენ „ვირქ“-ს. „ვი“, როგორც ზემოთ არის ნახელები, შეიძლება აიხსნეს ფშვინვითი გამართებით, ასე რომ საკუთრად რჩება „ირ“, რა ძირიც არის სიტყვაში „ირანი“. იმ სახელით, რომელსაც სომხები გვიწოდებენ, იმიტომ ვისარგებლე, რომ ახლანდელი ენის მეცნიერები, სხვათა შორის ერისა და მისი ქვეყნის სახელითაც განმარტავენ მკვიდრთა შთამომავლობას, მაგალითად, როგორც „ირლანდია“, „არმენია“ და აგრეთვე ზემოხსენებული „ირანიც“. რსები თავიანთ თავს „ირანებს“ ეძახიან; ეს სიტყვა, მათი მითოლოგიური გმირი „ირი“ აგრეთვე და ჩვენი „ამირანი“ ძირეულ მოგვაგონებენ „არიას“, „არიანას“. აქვე საჭიროდ ვრაცხ შევნიშნო, რომ რსების ღმერთი „ვახილას“ და ინდიელების „ვახი“

რჩევ ერთია. ეს „ვაჩი“, მოხსენებულ საღვთო კვდაში არის
 მეტყუელების vot (ვოტ) ღმერთი-ქალი, რომელიც ბრძანებ-
 ლობს ელვა-ჭექას და მასთანავე ღმერთების დედოფალიც არის.
 ინდიელების „ვაჩი“ ქალია, ხოლო რსების „ვაჩ-ილა“ —
 ვაჟი, ქრისტიანობის ხანებში წმ. ილიასადმი შეთარღებული,
 რასაც გვიმტკიცებს მეორე სიტყვა „ილა“. რადგან ერთის
 ღმერთი ქალი მეორის ღმერთ-ვაჟად გადასულა, ესეც შესაძლე-
 ბელი უნდა ყოფილიყო, რომ მარტო სასული დარჩენილიყო
 და ცნება კი, რომელსაც იგი ჰსატავდა, სხვა და სხვა პირობის
 წყალობით, გამოცვლილიყო. თუ ეს ასეა, მაშ შეგვიძლია
 ვსთქვათ, რომ ინდიელების „ვაჩი“ და ჩვენი მითოლოგიური
 ღმერთი „ბოჩი“ ერთი და იგივეა. ამ გვარი მოსაზრება მით
 უფრო ახლდა ჭეშმარიტებასთან, რომ გრგვინვასა და ჭექას,
 მაღალ მთებიანსა და ნაპრალებიან ალაგებში გახმაურებულს,
 ხშირად ისეთი ზედ-მოქმედება აქვს, რომ ჰგონია ვაცს მთე-
 ბის კალთებიდან გამოდის ხმაო ჯერ ეხლაც და მაშინ ქარ-
 თველი ვაცი სულ მთებს მიაწერდა ამ ბუნების მოკვინებას. ამ გვა-
 რად ინდიელების ვაჩი არის ჩვენიური ბოჩი. ეს ბოჩი შექმნილა
 კაკასიონის მთების (7 მწვერვალის) ღმერთად მხოლოდ იმ
 მარტივის გამოძახილის გამო, რომელიც იმ მთებიდან ეუერე-
 ბოდა მაშინდელს ქართულს, და არა პირდაპირ ელვა-ჭექისა,
 როგორც არ ვხედავთ ამას ინდიურსა და რსურს მითოლო-
 გიებში. ამ მითოლოგიურის მოსაზრებით შეიძლება ვსთქვა,
 რომ რსები ქართულებზე უგვიანეს არიან მოსულნი კაკასიონის
 აქში, რადგანაც იგინი, ენას გარდა, ამ მითოლოგიურის ფაქ-
 ტებითაც უახლოვდებიან არიებს. ხსენებული მეტამორფოზე-
 ბი რომ ჩვეულებრივი მოკვინებაა მითოლოგიებში, ამას ის
 გარემოებაც გვიმტკიცებს, რომ ინდიელების კეთილი ღმერთე-
 ბი devi (დევი), საიდგანაც სწარმოებენ ბერძნული თეოს, ღა-

თინური deus (დეუს), ირანელების მითოლოგიაში გადაიქცნენ ბოროტ სულებად divi (დივი). ჩვენ მითოლოგიაში კი ეს დე-ვეები რაღაც ურჩხულებად იჩვენებიან, რომელთაც შვიდ-შვიდი, ცხრა ცხრა თავი ახათ: ღმერთების ხარისხი აღარ აქვსთ, მაგრამ გმირობით კი გმირობენ, რომელთაგან ერთი ბაყბაყ დევი ამირანსაც დაუჭიდა, მაგრამ იძლია მისგან, როგორც კეთილის სულისაგან.

ახლა განვიხილოთ ზოგიერთი სიტყვების ძირები, რომელიც არა ნაკლებ სანტერესო მოკვინებს შეადგენს. საზოგადოდ ძირების გამოკვლევას დიდი ფასი აქვს ენის მეცნიერებაში; მათის მნიშვნელობის ახსნით უფრო შუქი ეფინება ნათესავობას, ერთა კავშირს და ისტორიის წინა დროც არა ნაკლების სიტყვადით ირკვევა; მაგრამ ეს ერთი უძნელესი საგანთაგანია ენის მეცნიერებაში. ცნობილის ერების ნათესავობა და მათი ერთად ცხოვრება პირველ-სამყოფ ალგს მით იცნობება, რომ ოჯახობის, ნათესავობის, ხელმწიფების (ელასტ), შინაური ცხოველების და საზოგადოდ ამ გვარ ცნებათა გამომსატველი სიტყვები ერთი და იგივე უნდა იყვნენ და თუ ზოგიერთების ეტიმოლოგია როგორმე შეცვლილა, ეს კიდევ არ მოასწავებს, რომ ამ გვარი სიტყვები არ ეთვისტომებოდენ აღნიშნულის ერის ენას. მაგალითად მოვიყვანოთ ზოგიერთი ქართული სიტყვები და შეძლებისამებრ განვიხილოთ იგინი. ავიღოთ ჯერ სიტყვა «შუილი». ეს სიტყვა წარმოებულია, არის მიძლეობა, როგორც გვიძტიცებს (ი)ლი; ხოლო ძირი „შუ“ არის სანსკრიტური „სუ“, რომელიც ნიშნავს დაბადებულს ვაჟს. ს—ნი ხშირად იცვლება შ—ად. ამის მიხედვით თავ-და პირველად ეოფილა „სუ—ობა“, მერე „შუ—ობა“ და უკანასკნელად წარმოიდგარა „შობა“, შობილი „შო-

ბილი““. მორე ნაირი მიძლეობითი ფორმის იქმნება „შეე—
 ობი—ლი““, „შეე—ლი—ლი““, „შეე—ი—ლი““, მდაბიუ-
 რის მარტლ-წერით „შეილი““. ეს შეილი აწსებითად ნიშნავს
 მამრობითს ნათესავს, ესლას კი განურჩევლად იხმარება. მორე
 სიტყვა აწსის „ასული““, რომელსაც შეჩენია თავის მდედ-
 რობითის ნათესავის მნიშვნელობა. ამ „ასული“-ს ძირი აწსის
 „ას““, რომელიც სანსკრიტურად ნიშნავს ერთს ალავს თანა-
 მცხოვრებ ქალს. სანსკრიტურადვე ძმის ეტიმოლოგია იმ ნაი-
 რია, რომ აღნიშნავს დამხმარებელს. აქედან ცხადად ჳსჩანს,
 რომ აწიულების ოჯახობა მკვიდრი ყოფილა და ძმასაც კალად
 სდებია დის დამხმარება. ასულის გამოსახატავად სანსკრიტურად
 აწსის კიდევ „დო—გა““, რომელიც ნიშნავს რძეს და ქალი-
 შვილს ე. ი. ფურის მწველელს. აქედან ვსედავთ, რომ ეს
 სიტყვა მამინდელია, რომელსაც აწიულები მეჯოგენი ყოფილან
 და მათ ქალიშვილებს რძის გამოწველა სდებიათ კალად. ამის
 დასამტკიცებლად შეგვიძლიან მოვიყვანოთ ჩვენებური სიტყვა
 „და““, რომელიც ითარგმნების პირ-და-პირ რძედ, და აწსის
 შეცვლილი „დო““, პირვანდელი „დუგ““. ეს „დო““ შეუცვლელ-
 ლად დარჩენილა მხოლოდ მორე ჩვენ სიტყვაში, როგორც მაგ.
 «დო», რომელსაც ჩვენში ნადღებ რძეს ეძახიან. ამასთანავე უნდა
 შევნიშნოთ, რომ აწც ჩვენი სიტყვა «გოგო» აწსის უმნიშვნელო.
 ამ სიტყვის ძირი აწსის «გო», აწუ უკეთ ვსთქვათ, მრთელი სიტყვა
 შემდგარია ორჯელ გამეორებულის ძირისაგან. ეს «გო» აწსის სან-
 სკრიტური «გა», რომელიც, როგორც ვსთქვით, ნიშნავს ფურის
 მწველელ ქალიშვილს. ეს გარემოება ცხადად გვიჩვენებს, რომ აწი-
 ულები მეჯოგეობიდან თან-და-თან უმჯობესობაში რომ შესულან,
 მოსამსახურობა გაჩენილა, ასულს პატივი მომატებია, მდგომარე-
 ობა გამაღლებია და მისი გამომხატველი სიტყვები «დო—გა» ამ

ნაირად დაშლილა, რომ ჩვენში პირველ სიტყვას «დო», ე. ი. რძეს აღუნიშნავს თვითონ ასული, ე. ი. და, თუმცა სულ უკვალოდ არ გამქრალა, როგორც ვხედავთ „დო“-ს, ნადღები რძის სახელს, და მეორე სიტყვა „გა“, ე. ი. ფურის მწკელოლი ქალიშვილი დარქმევის ასულს, უფრო დაბალ ხარისხზედ მდგომს, მთახლეს, გოგოს. რუსის მეცნიერები д-щерб-ში ეძებენ „დუგ“-ს, „დო“-ს და ჩვენებური სიტყვები „და“, „გოგო“ და „დო“ ხომ პირ-დაპირ სანსკრიტურის ძირის წარმომადგენელი არიან.

შვილზედ, ასულზედ, დასუდ, დოზედ და გოგოზედ არს ნაკლებ უძველესი სიტყვების „აკუნია“ და „ნანა“. ესენი სანსკრიტურში არიან თუ არა არ ვიცი და ლათინურში ვი მოიპოვებინ. პირველი არის „cunae“ (კუნე) და მეორე „nenia“ (ნენია). ეჭვი არ არის, რომ ძირები სიტყვებისა „აკუნია“ და „cunae“ (კუნე) არის „კუნ“, რადგან უ-ნი ხშირად კ-ად იკითხება. ასე რომ „აკუნია“ შეიძლება დაკმალოთ ამ ნაირად: „ა-კუნ-ა-ნ-ი“. ა-ნი პრეფიქსია; საშუალო ა-ნი სრულ-ხმოვანობისთვის არის და ი-ნი ვი ფლექსია; მასმასდა-მე უნდა ყოფილიყო „ა-კუნ“, მე „ა-კუნ-ი“ და ბოლოსადა „ა-კუნ-ა-ნ-ი“. „ნანა“-ს და „nenia“-ს იგივეობა აშკარა საქმეა. ორივე ნიშნავს აკუნის სიმღერას; ამას გარდა ლათინური სიტყვა ნიშნავს კიდევ საყმაწვილო ზღაპარს, მაგრამ მრავლობითს რიცხვში „neniae“ (ნენიე) მოასწავებს ზარს, მოთქმითს ტირილს, რომელიც რომაელები მიცვალებულს ტირილდენ. ქართულ სიტყვას უკნის ვხედავთ მნიშვნელობას რატომ აღარ გამოყოფილა, ძლიერ ბინტურესოა, რადგანაც ქართულებმა დღემდისაც იციან ზარით ტირილი.

ქართულ ენაში ხელმწიფების აღმნიშვნელი სიტყვებიც არ

აჩიან ინტერესს მოკლებულნი. განსვენებული ვ. იოსელიანი
 ამბობს, რომ სიტყვა „უფალი“ იქიდგან წარმოსდგა, რომ
 უწინდელი ქართველები გერძს ბაასს შესძახებდნენ: „ო ბაას!
ო ბაას!» და დროს განმავალობაში ამ ხმის-ყოფისაგან ქცეულა
 „უფალიო“. სწორეთ ახიკებული თილოლოგიას სიტყვების
 ამ ხიარი კვლევა! სიტყვებში: „უფალი“, „მეფე“ კხედავთ აჩის
 ძირები: „თაა“ და „თ“. სანსკრიტურ ენაში ბეკრი რთუ-
 ლი სახელ-წოდებას, დაბოლოებული სიტყვებით „პაა“
 „პა“, რამელნიც აღნიშენენ უზენაესს ხელმწიფებას. ინდი-
 ულ-ეკროპიულსა და კელტურ ენებშიაც აჩიან ამ გვარი სიტყ-
 ვები, რამელთაც დაბოლოება აქვსთ „ჰაა“ და „ჰუ“ და
 ნიშენენ მას, რასაც სანსკრიტური ძირები „პაა“ და „პა“.
 ეჭვი არ აჩის, რომ ჩვენებური „თაა“ და „თ“ იგივენი
 აჩიან, რაც აღნიშნული ძირები, რეგორც მნიშენელობით,
 ისე გამართებითაც. ქართულის ძირების «თაა», «თ» სიმარ-
 ტივე აღნიშნულ ძირებთან შედარებით მით აიხსნება, რომ
 იგინი ადრე აჩიან დაშორებული და ამის გამო ცოტათი
 სხვაობაც ატყვიათ. ყოველ შემთხვევაში სანტერესოა ძი-
 რების გამართებითი გრადაცია. სანსკრიტურის ძირის პირვე-
 ლი ასოა ვ, ქართულის თ, და ინდიულ-ეკროპიულის და კელ-
 ტურის ჰ. სიტყვა „დმერთი“ ც აგრეთვე უზენაესის ძლიერე-
 ბის მომასწავებელია. ზოგიერთები ჰგონებენ და მათ შორის
 ჩენი სწავლული ქართველ-კათოლიკე მღვდლებიც, ვითომც
 „დმერთი“ წარმოდგარყოფს სიტყვებისაგან: „დამა ერთი“.
 ამ გვარი წარმოება რომ შეცდომილებაა ცხადად გვიჩვენებს
 თვითონ სიტყვის განკუთვლება, რეგორც მაგ. ნათ. ბრუნვა:
 ღვთ-ისა, რამელშიაც „ისა“ დაბოლოებას და „ღვთ“ კი
 ძირი; აქედგან „ღვთაება“, „სა—ღვთო“: მამასადაძე სიტყ-
 ვაში „დმერთი“ სანტერესო ყოფილა მარტო პირველი ასო

„ღ“, რადგანაც ყველა წარმოებულ სიტყვებში გვხვდება იგი; დანარჩენი სიტყვები ხვდება მხოლოდობითსა, მიცემითსა და მო-
თხრობითს ბრუნვებში და მართლ მრავლობითს რიცხვში; თუმცა
სახს რბილიანი თავის მოგზაურობაში (გვ. 45) ხმაწობს
ფორმას ღვთები. ყოველ შემთხვევაში აქ საინტერესოა ძირი
„ღვთ“, რომელიც დასახამს აძლევს მრავალ სიტყვებს და ძი-
რადგან „ღმერთ“ ვი არც ერთი სიტყვის წარმოება არ იქნე-
ბა განზნებრი. ეს „ღვთ“ ბევრ ინდო-ევროპიულ ენებშიაც
გვხვდება, როგორც მაგ. გერმანიული Gott (გოტტ), ინგლი-
სური god (გოდ); ასე იანგარიშეთ ეს „ღვთ“, უფრო მტკი-
ცოდ გამოთქმული „ღვდ“, იზოვებს სიტყვაშიაც „მ-ღვდ-ელი“.
როგორც „მ“, ისე „ელი“ ვკვირვებენ რომ „მღვდელი“
წარმოებული ფორმა უნდა იყოს და გასაშტერებლად მოასწავ-
ებს საღვთო საჭმის მოხელე კაცს, ერთი სიტყვით ღვთის
მოხელეს.

შინაურის ცხოველების სახელებშიაც არა ნაკლები მსგავსება
არის. ჩვენებურ სიტყვაში „ზვარაგი“, „მეზვერე“, ვხედავთ
არის „ზვარა“, „ზვერ“. ესენი არიან სანსკრიტური „ზვუ-
რა“, რომელიც ნიშნავს „ხარს“. ჩვენში ეს სანსკრიტური
ფორმა იხმარება გნინებითად უ—ს ა—დ გადასვლით. ძროხის
სახელი სწარმოებს სანსკრიტურად ძირისაგან „დხა“, რომე-
ლიც ნიშნავს წველას. საკვირველია, რომ ეს «დხა», კბილით
გამოსაღებ ასოდვე შეცვლილი, იზოვებს ქართულშიაც, როგორც
მაგ. „თხა“. აქ ვხედავთ, რომ ძროხას გარდა, მეწველე თხა-
საც ვი დარქმევთ ესა, მხოლოდ ნათესავი შეცვლილა, რადგან
ჩვენებურად თხა შეიძლება მამალიც იქნეს და დედალიც.

საყურადღებო ანალოგიას ვხედავთ ზოგიერთი შინაურის
ფორმების სახელებში. ჩვენი „კვანტი“, „ბატი“ არის

სახსრირტური „ატი“, რომელიც ნიშნავს საზოგადოდ „წყლის ფრინველს“. ამ სახელს ეძახდენ მოუშინაურებელ ანუ გარეულ წყლის ფრინველებს და როგორც ჭსჩანს, მოუშინაურებით თუ არა, მას მუქმედაც დარჩენილა ეს სახელი, მაგრამ სხვა და სხვა მონათესავე სახლის ხელში, ნაჭკოთის გასარჩევად, გადასხვაფერებულა მრავალ-ნაირად, როგორც მაგ. „კვატი“, „ბატი“

ჩვენგან მოყვანილის სიტყვებიდან ასე თუ ისე გამოდის, რომ ქართულშიაც იბოკებიან იმისთანა სიტყვები, რომელნიც არილების პირვანდელ ცნებებს ჭხატვენ და მეტადრე სიტყვა „ერი“ გვაფიქრებინებს უნებლიეთ, რომ მარტო ქართველებს შეჩინათ ის სახელი, რომელსაც უწოდებდენ არილები თავიანთ თავს. შეიძლება ამ გვარი სიტყვები ზემოდ მოყვანილგზედ გიდევ უმეტესი მოიძებნოს, მაგრამ ამის გამოკვლევა მრთელ მუცნიერებას შექმნის და ითხოვს არა ერთი კაცის შრომას. ამ გვარ სიტყვებს გარდა ჩვენ ენაში არის ბევრი სხვა არიული სიტყვებიც მაგრამ ეს გარემოება გიდევ არ შეადგენს ნათესავობის დამამტვირთებელს მოკვლინებას. ეს ფაქტა აიხსნება მხოლოდ ურთიერთ შორის მისკლა-მოსკლით. მაგრამ საფიქრებელი ეს არის, რომ იმისთანა სიტყვებიც მოიბოკებიან ჩვენს ენაში, რომელთაც ძირები, როგორც გამოთქმით, ისე მნიშვნელობითაც ძლიერ წააგავან არიულებს და ძნელი მისაგნებიც არის რომელი ენისაგან გადმოსულა. სანამ ამის მაგალითებს მოვიყვანდეთ, თრიოდე სიტყვა ვსთქვათ ზოგიერთ ქართულსა და სომხურის სიტყვების ანალოგიის შესახებ.

ის გარემოება, რომ დღეს ქართულში და სომხურში მოიბოკება ბევრი მსგავსი სიტყვები, როგორც მაგალითად სპეციალური „სპიტაკ“, უამი „უამი, კერპი „კერპი“, ჭსჩაკი „ჭს-

საკა, ბორცტი „ბორცტ“, აკაზაკი „აკაზაკ“ და სხვა ამისთანა, იმით აიხსნება, რომ ქართველები არიულების პირველ სამყოფელ ალაგიდამ სომხებზედ უფრო ადრე დაძრულან. სომხებს თავიანთი მოძრაობის დროს ქართველები ახლანდელ სასომხეთში დახვედრან მკვიდრ მოსახლეებად და ახალთ მოსულთ კი ცხოვრებაში შესვლის გამო უნებლიეთ უსმარიათ მკვიდრთა სიტყვები. საზოგადოდ შენიშნულია, რომ უცხო სიტყვის ლ ხშირად ლ გამოდის, როგორც მაგალითად ჩვენებური „ფოლოლოცი“ სომხურად ითქმის ფოლოც, სიტყვა „ქალაქი“ სომხურში არის ქალაქ; სიტყვა „იერუსალიმი“ სომხურად ერუსალიმი; სემიტური „აკლდამა“ სომხურად არის აკელდამა; ბერძნული „ტალანტონ“ სომხურად ითქმის „ტალანდ“ და სხვ. იმ ქართულს სიტყვებს, რომელნიც გადასულან სომხურში, თითქმის სულ არ აქვსთ მსგავსება არიულ სიტყვებთან და თუ აქვთ, ისეც მცირედი; ესე გვარი მოკლინება აიხსნება იმით, რომ ქართველები ძლიერ ადრე, თითქმის სპარსულთ უადრესაც, დაშორებიან პირვანდელს ოჯახს და სომხები კი მერმე, რის გამო სომხური, სპარსული სომ რაღა სათქმელია, უფრო დაახლოვებულა არიულ ენებთან და ქართული კი დღეს მეცნიერთათვის საბასო საგანს შეადგენს: არ იციან რომელ ჯგუფს აკუთნონ. ვანის ლურსმური წარწერები ჩვენს ენის მეცნიერებისათვის იმით უფრო საინტერესონი არიან, რომ ამათი შემწეობით შეიძლება გავიგოთ, როგორი ყოფილა ქართველების ცხოვრება, ან ჭეონიათ რამე კულტურა, როდესაც იგინი ჯერ კიდევ ახლანდელ სასომხეთში დამკვიდრებულან და ეტვი არ არის შესძლებელიც გახდება იმ წარწერების მიხედვით ქართულის ენის თანისთანის განვითარებისა და გვარ-ტომობის განმარტება.

ქართულისა და სომხურის მსგავსი სიტყვების ახსნა, როგორც ვნახეთ, მოსახერხებელია ისტორიის დონით, მაგრამ ასე უნებ ჭაზრის დასკვნა კი ძნელია ზოგიერთი იმისთანა ქართული სიტყვების შესახებ, რომელნიც საზოგადოდ არიულებს წააგვანან. ძნელი ასახსნელი სიტყვის განსახიერების ისტორიაა. ეს სიტყვები, როგორც ვათქვი ზემოდ, მით არიან შესანიშნავნი, რომ როგორც გამოთქმით (ხანდისხან ცოტათი შეცვლილით) და მნიშვნელობით, ისე ძირების ერთნაირობითაც ერთმანერთს ემსგავსებიან. ავიღოთ მაგალითად რამდენიმე სიტყვა:

ა) ჩვენებური „ბასა“ და სანსკრიტური „ბასა“, რომელიც ნიშნავს სიტყვას, საუბარს, ხოლო ქართული სიტყვიერ ცილობასაც ნიშნავს აგრეთვე, ერთი და იგივენი არიან.

ბ) ქართული პირველი პირის ნაცვალ სახელი „მე“ და სანსკრიტური ნაცვალ სახელობითი ძირი «მა», რომელიც ნიშნავს ჩვენებურად: „მე“, „ჩემი“ და არის წარმომდგარნი სიტყვისაგან „მან“, რომელიც ითარგმნება „გონებ“, ერთი და იგივე არის. ვიცი თუ აგრეთვე, რომ ნაცვალ სახელები მა, მე, მი, ზმნებს თავს ერთვიან. არ შეიძლება არ ვსთქვათ, რომ „მე“ მასთანვე ნიშნავს გონიერს, მოაზრე არსებას, ესე იგი კაცს. როდესაც კაცი იტყვის მე, ამით ცხადად გამოდის „მე გონიერი“; ასე რომ კაცის გონიერობით იხატება ცხადად მისი არსებობაც.

გ) ავიღოთ სიტყვა „ტარება“. ამის ძირი არის „ტარ“. ეს ძირი მოგვაგონებს სანსკრიტურსავე ძირს «ტარ», რომელიც ნიშნავს აღმართვას, აღწევას. ამ «ტარ»-იდან სანსკრიტურად წარმოებულია «ტრინა», ზმნა უმეშვეობითი, მაშინ როდეს-

საც ქართულად ოწნაირია: „ტარება“ შემოქმედებითი ჭ „ტრუა“ (იტარნეს) უმეშვეობითი.

დ) ყველას მოესახენება, რომ ზმნა «მიხარია» სულის მდგომარეობას ხატავს. ეს სიტყვა მსგავსია ბერძნულისა «ხარეო». რაგონიც «მიხარია»-ს ძირი „ხარ“, ისე «ხარეო»-სიც რომ «ხარ» არის, ამის დასამტკიცებლად კმარა ავიღოთ «ხარეო»-ს ალტისტის დრო, რომელიც იქმნება „ეხარენ“, ე. ი. გა-გო-ხარ-ე.

ე) ზოგიერთ სხეულის სახელებს გარდა, რომელნიც მოუყვანათ ჩვენს ენის ფილოლოგებს, მოვიყვან კიდევ ერთ სიტყვას. ეს სიტყვა არის «ქალა», რომელსაც კედხით თაკის ერთს ნაწილთაგანს, სახელდობ ზემას, და არის მსგავსი ლათინურისა: „cal-va“ (კალვა). ძირების «ქალ» და «cal» (კალ) იგივეობა უარ-უყოფელია. «calva» (კალვა) აღებული მრავლობითს რიცხვში: «cal-v-ae» (კალვე) ნიშნავს «კაკალს». ჩვენი სიტყვა კაკალი ეჭვს გვგვრის კი არ იყოს შემდგარი ორჯულ აღებული ძირისაგან: «კალ-კალ» და გვიჩვენებს ამ შემთხვევაში ძირების ზირკულის ასლების შეუცვლელობას. სანტერესია, ხომ არ არსებობს რამე შემთხვევითი კაკშირი ქალა-სა და კაკალ-ს შორის, ან რომელი უფრო ძველი და ნამდვილი სიტყვაა: კაკალი, თუ ნიგოზი?

ვ) ჩვენში დღემდის ჩვეულებათ არის ზარით ტირილი. მოზარეების კრებას კედხით ასახიას. ეს «ასახია» და სანსკრიტური «სიბია» მსგავსნი არიან მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელი ზხატავს კერძო კრებას, განსაკუთრებით ნათესავებისას, რომელზედაც ირჩევდნ ძველი არიულები გვარუფლობის თავს, მამასახლისს. ამ გვარის წარმომადგენელს სიკვდილის დროსაც იკრიფებოდნ თუ არა ნათესავები, ან თუ

იკრიფებოდნენ, ტირილდენ ზარით ან და ეძახდნენ ამ გრებს. «სიბიას»-ს, ეს აღარ ვიცი, ის გი ცნობილია მხოლოდ, რომ უგვიანესი არიულები-რომაელები ზარით ტირილდენ მიცვალებულებს, ჩვენშიაც არის დღემდის ამ გვარი წესი და მოზარეების გრებსაც ასაბიას ვეძახით.

ავიღოთ ერთი სიტყვა კიდევ „ზური“. ძველი არიულები საჭმელად მწვანისასაც ხმარობდნენ და კიდევ ჭქონდათ ამის გამო-მხატველი სიტყვა: „პირა“. ამასვე ძირიღვან არის სანსკრიტური „ზურა“, რომელიც ნიშნავს უგვე გამოცხვარს ზურს. ხოლო ჩვენი „ზური“ ნიშნავს როგორც მცენარეს, ისე გამოცხვარს ზურსაც. ჩვენი ურთ რომ მიწის მოქმედებით, ზურის თუ ღვინის მოყვანით შესანიშნავი ყოფილა, ამას გვიმტკიცებს ცხადად ის გარემოება, რომ ძველი ბერძნები ვეძახდნენ (გეორგი), ე. ი. მიწის მოქმედებს. ამას შემდეგ არ იქნება, გასაკვირველი რომ ვსთქვათ, შეიძლება ბერძნები ზურს და ღვინოს ჩვენგან გაცნობოდნენ თქო, რადგან ბერძნულად ზურს ჭქვია „ზურონ“ და ღვინოს „ღვინოს“, მის მსგავსად, როგორცადაც იმათ ისწავლეს ფოლადის კეთება ჩვენი ჭანებისაგან, რომლებსაც ძველადვე ხალხებს ეძახდნენ, რადგანაც იგინი ფოლადსა და სხვა რკინეულობას სჭედდენ.

აქვე სანიმუშოდ მოვიყვანოთ პირ-და-პირ რამდენიმე ქართული სიტყვები, რომელიც ძირების მნიშვნელობით და მსგავსებით უცხო სიტყვების ძირებთან, ეჭვს აღუძვრენ ლინგვისტს, რადგანაც ძნელი შესატყობია, რომელ ენას რომლისაგან გადმოუტანია აღნიშნული ძირი.

გვაწია, ბერძ. ვათოტეს, საკუთრად ჭურჭელისა. ნგრეკა, ლათ. ruo (რუო), ხეხვი, სპარს. houanu (ხუანუ), თეძი, ბერძ. დემოს, ძებნა ბერძ. ბეტო, სძა ბერძ. სძაო, ჯდომს

ბერძ. ედიომაი, მოკვდინება ბერძ. კტიინო, ვბლავი ბერძ. ბოაო, მართვა ბერძ. ორთო, ბუ ლათ. bubo (ბუბო), კი-რი ლათ. calx (კალქს), განრინება ბერძ. ანნეომაი, მოღუნვა, ბერძ. აგნუმი, გრძობა ბერძ. აგეირო, ტვირთი ბერძ. ფორ-ტოს, ფანტვა, ჰნეკა, ბერძ. დაჰანაო, კრავი ბერძ. კრიოს, საგუთრად ცხვარია, მიკდივარ ბერძ. ოდეიო, მახვა, მახვილი, ბერძ. მახომაი, მახარა, თხეკა, ბერძ. ხეო, ვაჟი ბერძ. კჭიოს, ზავში, ბერძ. ჰაის, სოფელი ზოლის, უელი სანსკრ. gala (გალა); გერმ. Hals (ლალს), კამლვა, გერმან. qualmen (კვალმენ), უური, გერმ. hor (ორ), სული, გერმ. seele (ზე-ლე); ინგლ. soul (სოულ), ბატონი სანსკრ. pati (პატი), ჭუდი გერმ. Hut (ხუტ), შკენიერი, გერმ. schön (შიონ), წუმ-ჰე, გერმ. sumpf (ზუმფი).

ამ გვარი სიტყვები და საზოგადოდ ძირების კვლევა, ფორმისა და შინაარსის მხრით, ძვირფასს მასალას შეადგენენ ენის მეცნიერებისათვის და რასაკვირველია ქართული ფილოლოგიის სპეციალისტმა დიდის გულ-მოდგინებით და ბეჯითობით უნდა მოჰკიდონ ხელი ამ საგანს, რომ ქართველთ ისტორიის უწინარეს დროებას მით ცოტა შეუქი მოეფინოს. როგორც მკითხველი თვითონაც დაინახავდა ამ მოკლე შენიშვნაში მოუვანილია ქართველთ არიელობის დამამტკიცებელი ფაქტები. შეიძლება ეს ფაქტები სუსტიც გამოდგენ, მაგრამ სულ უარის უოთა კი შეუძლებელია. რამდენიც უფრო ბერძი დაგროვდება ამ გვარი ფაქტები, იმდენი უფრო წინ წაიწეკს ეს საგანი. მუ მხედველობაში არა მქონია მოძუევანა ყველა ის ფაქტები, რომელნიც უღიარებიათ სხვა-და-სხვა ენის მეცნიერებს ამ საგნის სასარგებლოდ, რადგან დარწმუნებული ვარ რომ მის მიმდევარს უთუოდ ეცოდინება იგინი. მუ მსურდა ჩემი საგუთა-

რი დაკვირვებანი შეძლებისამებრ წარმოედგინა მკითხველი სა-
 ზოგადოებისათვის, რომ უფრო ადვილი ყოფილიყო ამ სა-
 ლის მასალის მიხედვით რომლისამე ჭაზრის დასკვნა. მუცრისა
 და მესამის მიმართულების მიმდევრებმაც შეიძლება დააგრძელონ
 თაქტები თავიანთი ჭაზრის სასარგებლოდ, მაგრამ ქართულის
 ენის შთამომავლობა ამით მაინც არ იქნება ჭკუ კიდევ აღ-
 სნილი, გადაწყვეტილი; მაშინ საჭირო იქმნება მიკხედოთ იმ
 გარემოებას, ვინ როგორ მოჭქტეოთ საგანს ან რამდენი საბუთი
 უჩვენებია მის გამართლებისათვის. მაგრამ ქართულის ენისა და
 მისი მონათესავე იდიომების ერთად თვით-მდგომარეობაც რომ
 დამტკიცდეს, ეს კიდევ ვერ გვეტყვის იმას, ქართულები არილთ
 ტომს არ ეკუთვნიანო. ქართულების არილობა უცლილთა, მაგ-
 რამ ეს არის კარგად გამოსარკვევი, ირანულთ შტოს ეკუთვ-
 ნიან, თუ ინდიულ-ევროპიულებისას, ან და, როგორც ამბო-
 ბენ, ხომ არ შეადგენენ არილების მესამე შტოს, რომელიც
 წარმომადგენელი ყოფილთა მრავალთა მოლაპარაკე ხალხთა
 სხვა-და-სხვა ენებზე, რომელთაგან დღეს დარჩენილთა მარტო
 ქართული თავის მონათესავე იდიომებითურთ.

პ. მირიანაშვილი

პეტერბურგი, 1883 წ. 15 ნოემბერს.

საანღაზო ლექსები

(ამოკრებილი «ვეფხვის ტყაოსნიდან», «ქილია და მ-
ნიდან» და «გურამიანიდან»)

(გაგრძელება*)

ა.

(ვეფხვის ტყაოსნიდან)

გაგმან საჭმე მოიგუაროს
ვეჭვ ჭმუნვასა ესე ჭსჯობდეს.

გაგვი ცრუ და მოღალატე
ჭხამს ლახვრითა დასაჭრელად.

გაცსა მიხვდეს საწადელი,
რას ეძებდეს, უნდა პოვნა,
მაშინ მისგან აღარა ჭხამს
გარდასრულთა ჭირთა ხსოვნა.

გაგმან ვით ჭპოლოს, ღუთისაგან
რაც არა დახაზადია.

*) «ივერია» № XII, 1883 წ.

კარგი საქმე კაცსა ზედა
აზომ თურმე არ წარხდების.

—
კაცსა ფიტნი გამოჴსტდიან.

—
კაცი ბრძენი ვერ გასწირავს
მოყვარესა მოყვარულსა.

—
კაცი ჯახანი რითა ჴსჯობს
დიაცსა, ქსელსა მბეჭეულსა.

—
კაცი არ უკულა სწორია,
დიდი ძევს კაცად კაცადის.

—
კაცი თუ ჴირსა ვერ დაჴსთმობს,
ჯხანი რა დასათმობია.

—
კარგი რამ მჴირდეს, გიკვირდეს,
ავი რა საკვირველია.

—
კოკასა შიგან რაცა ჴსდგას,
იგივე წარმოდინდების.

—
კარგი მიჯნური იგია,
ვინც იქმს სოფლისა თმობასა.

(ქილილია და მანიღამ)

—
კაცი, სახელის მძებნელი,
შეკდაკად შეირაცხების.

კეთილი რჩევა საღბუნს, ჭკაკს,
 მკურნალთა ხელოვნებასა;
 ასს ნაკვეთს გულსა აძიულებს,
 ჭკურნებს უოკელსა ვნებასა.

კეთილი საქმე კეთილით
 არს, თუ არ ღამაზობითა.

კეთილი გვარი უხეობა
 ღვთის მოწყალების დარგია;
 საუნჯეს თუცა დააკლდა,
 ვაჭთა შოება მარგია.

ვაჭი განკითხვას რას აქნევს
 სოფლისა ზღვათა მცურავი?
 ვინცა დანთქმულა რა იწი
 სად დაიღუპა რად თავი?

ვარულისა ვაჭსა ტყუილი
 არ ჭმუკნის არად, არაო.

ვიახევა. ჭირდად-აგდება
 ვაჭისა, არა წესისა.

ვაჭისა ქაჩვისა მძებნელსა
 ხელთ შეჭსკდა იაგუნდიო.

ვაძილი არ შეუზარდება
 ღრუბლისა ცვარისა ღენასა.

ვკამლას გზა მიეც გამოჭხდეს.

გაწი თუ ვარგა, რად უნდა
მისი მოდგმისა ცილობა?
თუ თვით არ ვარგა, რას არგებს,
მამა-პაპათა შვილობა?

—
გაი ვაწისა ალერსი
მუშგის უნოსას ჭგავს ამოსა.

—
გაწი ჭხამს სიმხნით მოღვაწე,
ჭირისა არ შემდრეკელი.

—
გაწი ჭხამს სწორე გზიანი,
გულ-მთელი, პაემნიანი.

—
გაწი ცდითა ვერ ეწიოს
ზღვა დაუშრეს, გაუგორდეს.

—
გირგიტას რდეს მიჭხკდება,
მითხარ რბისა ძალანი?

(გურამიანიდამ)

ვარგს ვაწს რგორ დაუკარგო
რაც რამ სიკარგვასე აქვო.

—
ვახელების აღმა ხნული
ჭართლელებმა დაღმა ჭფარცხეს.

—
ვაწს მართებს დაბლაც დახედვა,
რა გინდ მაღლამდის აროსა.

კარგს აწას გელო,
მცხვარსა მჭამ მგელო.

—
კანის ამბის სმენასა
ჭსჯობს ყურში თითის დაცობა.

ლ.

(ვეფხვის ტყაოსნიდამ)

ლეკვი ლომისა სწორია
ძუ იყოს, თუნდა ხვადია.

(ქილილთა და მანიდამ)

ლომისა საბრძოლად ჭურციკი
აწად არ მოიწონებდეს.

—
ლაგვანთ*) ნადგამი აგრეთვე
მასვე დაიწყობს ღენასა.

მ.

(ვეფხვის ტყაოსნიდამ)

მიჯნურობა აწის ტურთვა
საცოდნელად ძნელი გვარია.

*) ლაგვინი—პირ-ფართო სარწყულია.

მოშორება და მოყვრისა
გაყრა კანცისა მკვლელისა.

მქნელი საქმისა მხელისა
კანციმცა იყო ცნობილი.

მას უშმაგო ვინ მიენდოს,
ვინ მოყვარე გაამყლავნოს.

მოშაირე არა ჭქვიან,
თუ სადმე ჭსთქვას ერთი ორი.

მოშაირე არა ჭქვიან,
ვერას იტყვის ვინცა გრძელად.

მზესა მთვარე შეეყაროს,
დაილეკოს, დაცაჭსაჭენების.

მარგალიტი არვის მიჭხვდეს
უასსუიდლო, უვაჭრელად.

მაგრამ წესია — მიჯნური
მიჯნურისა შეებრალების.

მიმდომნი საწუთროსანი
მისთა ნიკთავან რჩებიან;
იშკებენ, მაგრამ უმუხთლოდ
ბოლოდ ვერ მოურჩებიან.

მტერი მტერსა ვერას ავნებს,
რომელ კაცი თავსა ივნებს.

მზისა შუქთა ვერ მჭკრეტელი
 ის ხმების, ვარდი სჭკნების.

—

მართლსა უთქვამთ მეცნიერთა,
 წყენასა ჭირთა ბადე.

—

მთვარე მზესა მოეშოროს,
 მოეშორება განანათლებს.

—

მაშინ ვერ გაკძლე სიახლე,
 აწ სიშორესა ვინანი.

—

მოუვარემან ვარდის კონა
 გუფსა მკრა და დამიწყლულსა.

—

მაშა ლხინსა ვინ მოიძვის
 ჰირკულ ჭირთა უძუშაკო.

—

მართლად იტყვის მოცინებელი:
 შიში შეიქმს სიყვარულსა.

—

მოუვარე მტერი ყოვლისა
 მტრისაგან უფრო მტერია.

—

მზგავსი ყველასა მზგავსა ჭმობს,
 ესე ბრძენთაგან თქმულია.

—

მაშინლას ლხინი აძო,
 რა გადისდის კაცი ჭირსა.

—

(ქილილა და მანილამ)

მახუზლარს ყოლე ნუ უსმენ,
ნუ გინდა სიტუვა გმობილი.

—
მშოერთა ცრემლი მაძლართა
გულ-ქვათა ვერ აღბობდიან.

—
მკვდრად იგი თქმულა, ვის კაცის
სახელი ზედ არ აცხია.

—
მაკვდრებულთა კვდრება
მსმენელთა არ ესმოდიან.

—
მოცდა კლიტა კარისა
უნჯისა სახარჯავისა.

—
მტერსაც არ მოჭკვლენ უწყალოდ
ეგრე ტანჯუითა მწარითა.

—
მოყვარე მინდა მოყვრილი
და აღმზურობელი ხელისა,
შეჭირკვებაში ძლხენელი,
გადამწყვეტელი ძნელისა.

—
მოყვარე მინდა ქებული,
ერთ-პირი, ერთის გულისა.

—
მასესა არ კინ გაებმის
არ თუ სიხარბის ძღობელი.

მხნე ყველგან პატრის იშოვის,
სადაცა იყოს რებული.

მეფენი სძელთა მწყობრები,
ვინ მტერთა უმაგრდებიან,
საზრდოს მუშაკთა შეჭსთსოვენ,
საშოვრად იქენებიან.

მუშაკნი ქვრივთა არ ჭსძრცვიან,
არცა თბოლთა არბევენ.

მოყვარულთა არა ჭმარებს
მოყვარისა მსწრაფელ შეჩისხვა.

მწარისა საუბრისათვის
რად გინდა პირის გაღება?

მეშურნის ქაცვსა რად მოჩხა
ხელ-გამომავალთ ვარდია?

მღამიობისა ზრახვითა
მზე არა დაიწუნება.

მართლს უთქვამთ: სიხსა ქვასა
ვერ დაესძის ეკლის წვერი.

მართლს უთქვამთ: ცუდი სიტყვა
ვერ გაიკლის ხანსა გრძელსა.

მეგურტნობავე ჭაჭობია
ავის ქუდისა მკერავსა.

მოღვაწეობის სახელი,
გვირგვინად თავსა დაიდგმის.

მძიმედ ჭსდევ მოთმინებითა,
წესად დაიდევ ყოვნება.

მე სიტყვებზე მისთვის მინდა
ცოფს გუმწერდე, ანუ შვილთა.

მე გაწყენ, შენ შემომწყრები,
წესია ამა სოფლისა.

მეთვის ბძანება ცეცხლსა ჭკავს,
ანუ წყალს ადიდებულსა:
თემს წამბედ მოაოხრებენ,
მტკიცედ საფუძველ-დებულსა.

მეთვის ბძანება, ნდომს და ნება
ჭხამს სიბრძნის გზითა განიჩქვოდეს.

მეფობს თქმითა არ არის,
არცა სახელის წოდებით:



მშვიდთა, მდაბალთა მბაძველნი
უცილოდ ამაღლდებიან.

მუძლარ, ფასკუნჯის ადგილი
საფრენად რასთვის გწადიან?

მეფობა მისთვის გაეგო
საყდარით*) მჯდომარეობა, —
შეჭირვებულთა ელხინოს,
ერგოს, ვისაც ჭსჭირს მრეობა.

მუხთაღი კაცი ვერ კაცობს, —
ეს ჭსცანით გლახა-მდიდარმა.

მოყვასსა უაუგოსა**)
თუ ეძებ, მარტო დარჩები.

მოყვრის გაშვება ადვილ ჭსჩანს
დაცსა გაწბილებულსა.

მოყვარე ეგრე ნუ გინდა
შუა ბეწვ დაუტეველად.

მოწყალე კაცის გონება
სიტყვას შეისმენს მაგეო.

მიწით ამაღლდა მდაბალი
ნებკთავან დაკრდომილიო.

მტერს ხელი რად გიკიდია,
მოყვარეს მოეჭიდეო.

მდიდარო, საწყალთ მიჭხედე,
იუიდე საწყალთ გულთა.

*) საყდარი საკუთრივ სამეფო ტახტსა
ჭევიან (престоль)

***) უაუგო უნაკლულოა, უავო, უბორბლო.

მთმუნის ხელთა მიაპყარ
გულის სადავე საჭერად.

მართლისა მიქმელსა ყველანი
ჭსძულდუნ, ექიშებთან.

მაღრანმა კაპის გოგონი
დაიწყო მისაბამეულად,
თავისიც სულ დააკიწდა,
რაცა იცოდა მან ძველად.

მშვიდდით ხასრელი ისარი
წავა ვით ქარნი ზენანი.

მიწა უძრავი ილახვის,
ცა ბრუნვით მგზავრობს დიდებით.

მათერებელი მოყვასნი
მოკლენ და გედასებთან,
მწერსავით სიტკობს მოსდევენ,
შენთან არა მოკვდებიან.

მე იგი ვარ, ვინც ძლიერსა
ტოტის კვრასა არ აკმატებს.

მოყვარე, კეთილს ჭყვარობდე, —
ბრძენთაგან ანდერძიან.

მცონარს სოლომან აძაგებს,
ჯინჭეული მოსწონს ქებითა.

მტერძან ჯიღი მუნ მასკდურა,
 სად მოყვარემ კარდის კონა;
 ეგრედ მტერძან ვერ მატკინა,
 ვით მოყვარემ შემადონა.

—
 მეფეთ სიკეთე მისისა
 საჭმის ქმნით გამოხნდებოსო.

—
 მზე თუ გვაცხუნებს უამადე,
 რად ჭსჭმუნავს გული ჩვენია?

—
 მეშფოთე კაცსა ერიდე,
 ნუ ისმენ მეშურნისასა.

(გურამიანილამ)

მიძმობ, თუ მიდობ,
 მანც არ მიხდობ.

—
 მე ამათ ვტირი,
 არა გაქვს ჰირი.

—
 მოსუფხარ ქურდად,
 მატყუებ ცუდად.

—
 მოკლე არის ცრუ სოფელი,
 კაცსა გრძლად არ შერჩება.

—
 მას დავნატრი, ვინცა სწორედ
 სულად საწუთროს გზას გაჭკვალავს.

მე მსურდა ერთი, — არ მომცა,
ვის არ სურს, მისცა ტყუბია.

მარხულა და სასჯელი
გონების გასაწმენდას.

მაშინ იხარებს მწიღნაკი,
რდეს მოისთვლის მტკვნებსა.

მწყემსმა კეთილმა ცხვართათვის
დადვისა სული ტკბილია.

მე კი ვთარავ, მაგრამ ჩემი
სატვივარი არა ჭთარავს.

მოკვდა და თვისის ანდერძით
აწ ისევ საჭმობს მკვდარი.

მე კაცი ვარ ხორციელი
სულ ხომ კაცს არ შევბერდები.

მარცხნივ თიკანთ განმარიდვ,
მარჯვნივ კრავთან შემრაცხე.

მე ეს ხიდი საკლელად
დავლ სწორედ გაკდეო,
შენ თუ მრუდად გაივლი
მე რა წყალში ვარდეო.

მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან,
განხეთქოს მთა და გორია.

—
მის ბაღში კრავი დამჟღარა,
სხვის ბაღში მგელნი ჯნდებიან.

(შემდეგი იქნება)

ლაპით მზინანი ჰვეყანა

ანუ

შეგებისა და ნორვეგია

«მუინვარე ჩრდილოეთის მახლობლად მდებარეობს მშვენიერი ქვეყანა. თქვენ იქ ნახავთ უდიდეს, თოვლიან მთებს; ტყით შემოსილ ღრმას და ვიწრო ხეობებს; გატიტკლებულ მთის წვერებს და კლდეებს; ამ ქვეყანაში მრავლად არის კელური, ბნელი ხეები, გამჭვირვალე ტბები, ფიჭვისა და ნიჟის ტყეები, რომელთა აღუშფოთებელი სიჩუმე თანამედროვე ადამიანს ამღვრეულს სულს უმშვიდებს: დიდრონი, მშვენიერი საყინულეები, რომელთა ბადალი არ არის მთელ ევროპაში, და ხმელეთში ღრმით შესული ღზვის უბები ამშვენებენ ამ ქვეყანას. მღელვარე და გამკაძი წყლები, მარდად მომდინარეობენ მთების წვერებიდან რკინისაგან და გზაზედ ისე საამოდ ჩამოხანჩქარებენ, რომ მათ დანახვაზედ მოხიბლული მნახველი ეკითხება თავის-თავს: ცხადია ყველა ეს, თუ რცხებას სნეულის გონებისაო. მოგზაურის თვალ-წინ იშლება სულ სხვა-და-სხვა სურათები: ერთ მხრივ დაინახავთ უდიდესს და უნაყოფო დედა მიწის სივრცეს, რომელიც მოთენილია ან დიდრონი ქვებით, ან დამაღონებელ ჭაობებით; მეორე მხრიდან ზღვის ან ტბის კიდეებზედ მოჩანს

სოფლების ღამაში სურათები; მესამე ალაგას თქვენს გულს
 ასიამოვნებს მშვენივრად შემუშავებული მინდვრები და მზიარული
 ფერები, რომლებსაც გარს ახვევია მოთამაშე ქერა ბავშვები.
 მასის უკანასკნელი დღებიდამ მკათათვის დამლეკამდის ამ ქვეყ-
 ნის ჩრდილოეთის მხარეს მზე დღეც ანათებს და ღამეც. ამ
 დაუბოლოებელ დღის განმავლობაში, ვარსკვლავები არა სჩანან
 და მთვარეც ისე მკრთალა, რომ სრულიად არ ანათებს. უაფ-
 ხელი ამ «ღამით მზიან» ქვეყანაში ისე მოკვდა, რომ ყვავი-
 ლები ვერ ასწრობენ გაშლას და დაყვავილებას, და ჭირნახუ-
 ლიც ხშირად ფუჭდება ყინვებისაგან. «ღამით მზიანობის
 მზის» ჩასვლის შემდეგ, დღე მალე მოკლდება და მარიაძობის-
 თვის ნასევარში ჭკერი ცივდება, ხეს ფურცელი სცვივს; ფრინ-
 ველები ეშურებიან სამსრეთისკენ; საღამომობით ხშირ-ბინდი აღ-
 რე დაჭკრავს ხოლმე, ვარსკვლავები ანათებენ მკრთალ-ლაყვარ-
 დოვან ცაში, მთვარე ისეც ხდება ცის მეფედ და თავისი სხი-
 ვებით ამზიარულებს და აცხოვლებს გრძელს და უსიამოვნო
 ზამთარს. ბოლოს დგება ის დრო, როდესაც მზე სრულიად
 იმალება, მთვარე და ვარსკვლავები კი მკრთალად-და ანათებენ
 ესრედ წოდებულ «ჩრდილოეთის განათებისა» გამო, რომელიც
 მთელ ცას ჭფარავს თავისი მომხიბლავი ალის ფერი სინათლით.
 ამ ქვეყანაში სცხოვრობს ქერა, ლურჯ თვალა, მამაცი, პატროსა-
 ნი ხალხი. ამათი წინა-პარნი უწინდელს დროში, ერთად-
 ერთი ხალხი იყო თავისუფალი, ჭქონდა თავისი შედგენი-
 ლი განობები. ასე აღწერს სკანდინავის ნასევარ გუნბულს
 გამორჩენილი მოგზაური დიუ-შალიუ, რომელმაც ბევრი ხანი
 დაჰყო ამ ქვეყანაში (1871.—1880 წ.), დაიარა ერთი კუთ-
 ხიდან — მეორემდინ, შეისწავლა იქ მცხოვრებელ ხალხის ენა,
 გაიცნო იქაური პოლიტიკური წყობილება, ჩვეულება და ადა-

თები. უკელა თავისი ცნობანი დიუ-შაღიუმ გამოსცა ერთ
 დიდ წიგნად, რომელმაც მაშინვე მიიზიდა უურადლებს განათ-
 ლებულის ხალხისა, და გადათარგმნილ იქმნა თითქმის უკელა
 ევროპიულ ენებზედ. არც საკვირველია ესა. კეთილ-სინდისი-
 ნი აღწერა რომელიმე ხალხისა უკუელთვის ძვირ-ფასისა მეცნი-
 რებისათვის. იმისთანა ხალხის აღწერა, როგორც აღმოჩნდა
 სკანდინავის ხალხი, ხომ აღტაცებით მიიღო ევროპამ. იმი-
 ტომაც, მკითხველთ, კგონებ ურიგო არ იქნება ჩვენ ქართვე-
 ლებმაც გაიცინოთ და შევისწავლოთ ამ შესანიშნავის ხალხის
 ცხოვრება, არამც თუ მარტო იმიტომ რომ ის არის აღადით
 მზიანი» ქვეყანა, არამედ იმიტომ, რომ ის არის სამეფო წერა-
 კითხვის მცოდნე განათლებულ გლეხობისა. მეორეც იმიტომ
 რომ ამ ქვეყანაში საზოგადო წეს-წყობილობის ბურჟუაზ არის
 აღიარებული თავისუფალი მხენელ-მთესველი. ჩვენი, ქართველ-
 ბის, ბედნიერებაც, ჩემის ფიქრით, უნდა იყოს დამყარებული
 ხენა-თესვაზედ, მეურნეობაზედ. მარტო იმიტომ კი არა, რომ
 ჩვენი ქვეყანა მდიდარია ბუნებით, არამედ იმიტომ, რომ ამ
 გვარში შრომა, უფრო ხდის აღადიანს კაცად, ამ გვარში შრომა
 უფრო აკავშირებს კაცს ოჯახთან, ოჯახს საზოგადოებასთან,
 საზოგადოებას სახელმწიფოსთან. საზოგადოების ამ გვარ წყობა-
 ში ძნელი წარმოსადგენია როგორც განსაცვიფრებელი და გარდა-
 მეტრებელი. სიმდიდრე, ეგრეთვე უკიდურესი სიღატაკი. ამისთანა
 საზოგადოებაში სუთვეს მშვიდი, დაკმაყოფილებული ცხოვრება.
 ამ გვარ წყობილების მაგალითს წარმოგიდგენს—შექცია-ნორ-
 ვგია, რომელთა აღწერასაც ეხლა ჩვენ შევუდგებით.

I

ევროპის ჩრდილო-დასავლეთისკენ სძევს ერთი დიდი ნახევარ-კუნძული, რომელსაც სახელად უწოდებენ სკანდინავის ნახევარ-კუნძულსა. ეს არის ერთი ჩვენი საქართველოსათვის მთიანი ქვეყანა. ხალხი არის დასახლებული ზღვის კიდეებზე და მთებ-მუხა დატეხულს განიერ ველებზე. ჭკერი ამ ქვეყანაში თუძცა ცივია, მაგრამ ამ სიტუკს უფრო აქვს მოტეხილი სამხრეთის თბილ ქარებისგან, რომლებიც გაუწევეტლივ მოჭქრინან ატლანტიის ზღვით ეკვატორიდან. ამიტომაც ამ ქვეყანაში უინვა ისე არა მძვინვარებს, როგორც, მაგალითად, რუსეთის ჩრდილოეთის მხარეში, სადაც საშინელი უინების გამო ვერა სძლებს ვერა ცხოკელი, გარდა თეთრ დათვისა, და ვერ ხეირობს ვერა მცენარე, გარდა თითქმის გამოუსადეგარის ხავისა. სკანდინავის ნახევარ კუნძულზე არის მოთავსებული ორი სახელმწიფო — შვეცია და ნორვეგია. ამ ორ სახელმწიფოს აქვს ერთი ისტორიული წარსული, ერთგვარა განათლება, და თუძცა ორთავეში საზოგადო და სახელმწიფო წყობილობის ქვაკუთხედს, როგორც ზემოთა ვსთქვით, თავისუფალი მიწის-მხვნელი შავდგენს, პოლიტიკურ წყობის შესახებ შვეცია წარმოადგენს-პარლამენტალურ მონარხიას ჭყავს მეფე მემკვიდრეობით წესზედ გამგებელი, სადაც 1866 წლამდინ პარლამენტი შესდგებოდა ოთხი გამეჩიდან: გამერა აზნაურებისა, სასულიერო წოდებისა, მოქალაქეებისა და გლეხებისა. ნორვეგია კი არის რესპუბლიკა, რომელსაც ჭყავს მეფე-პრეზიდენტი, მემკვიდრეობით მიფლობელი ქვეყნისა. ეს ორი სახელმწიფო ისე არის დაკავშირებული, როგორც არც ერთი სხვა სახელმწიფოები არ ყოფილან დაკავ-

შირებუღნი. ეს კავშირი არ წაგავს იმ გვარს კავშირს, რომელიც არსებობდა ინგლისისა და განოვერის შორის, რომელსაც ერთავე სახელმწიფოებს ქმნდათ განსაკუთრებული დაწესებულებანი. აქ არ არის სრული კავშირი, რომელიც ინგლისის, შოტლანდიის და ირლანდიის შორის არის, ... აქ არც თედორატიული წყობილებაა, რომელიც ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგრამ თუმცა არც ერთი მხსენებული წეს-წყობილება არ ჰსუფევს შვედია-ნორვეგიაში, მაგრამ მისი კავშირი მაინც შეიცავს თითო ჩასმეს ყველა შემხსენებულ წყობილებიანს. ერთი მხრით აქ არ არის შეკავშირება, რადგანაც ერთავე მხარეს თავისი კონსტიტუცია, თავისი პარლამენტი, თავისი სამინისტრო, თავისი ჯარი ჰყავს; მეორე მხრით, აქ არის სრული შეერთება, რადგანაც მათ ჰყავთ ერთი მეფე, ერთი და იგივე დიპლომატიური აგენტები (ელჩები). რომელსაც მეფეების ჩამომავლობაში შემკვიდრე მოისპობა, მაშინ განიხილავს ძალით ერთავე მხარე იჩივს უთუოდ ერთს პირს მეფედ. გარდა ამისა ამ ორის ქვეყნის სრულ დამოუკიდებლობის გამო, მათი კავშირი უფრო წაგავს თედორატიულ კავშირს. რადგანაც ამ ორ სახელმწიფოს საერთო მხლელად მეფე ჰყავთ, იმიტომაც აქ საჭიროა დავაკვირდეთ მის პიროვნებას და უფლებას, რომელიც მინიჭებული აქვს მას ერთავე კონსტიტუციებისგან.

თუ რა ურთიერთობა არსებობს მეფისა და ხალხის შორის, ამას ცხადად გვიჩვენებს ბერნადოტის ამოჩივსა შვედიაში

მეფედ 1810 წელს. ამ ნამდვილი პირი ამოწმების განახლების: «ჩვენ, ქვემოთ ამის ხელის მომწერელი, შევცდით წარმომადგენელი: გრანტები, ბარონები, ეპისკოპოსები, აზნაურები მოქალაქეები და გლეხები... შევიკრიბეთ და გავესაჯეთ, რომ უმაღლესს და შემძლებელს ბატონს ჟან ბაპტისტ ბერნადოტს, თავადს პონტი-გორკოსისას ამისთანა ღირსებანი აქვს, რომ იმედი უნდა ვიქონიოთ ამის მეფობაში ჩვენ გვეყოლება კარგი მმართველობა. იმ პირობით, რომ თავადმა პონტი-გორკომ მიიღოს ლიუტერანული სარწმუნოება შვედიაში მოსვლამდინ და ხელი მოაწეროს შედგენილ განახლებად, — ჩვენ ამოვირჩიეთ პონტი-გორკო ერთ-ხმით, თავისუფალის და კანონიერის ხმებით შევცდით შემკვიდრეთ. ესლანდელის მეფის სიკუდილის შემდეგ უნდა გამოვდეს იგი შვედიაში, დაგვირგვინდეს შვედის მეფედ, ფიცი მიიღოს, რომ ერთგულად ემსახურება თავის ხალხს და არ დაარღვევს კონსტიტუციას და სხვა განსაკუთრებული კანონებს».

ნორვეგია შეუერთდა შვედიას 1814 წ. ჭეშმარიტება მოითხოვს ვსთქვათ, რომ არც ბერნადოტს და არც ერთ მისს შემკვირდეს ბოროტად არ უსარგებელია ხალხის ნდობით და არ დაურღვევია არც ერთი მუხლი კონსტიტუციის კანონებისა. და თუ ამ ორი სახელმწიფოს პარლამენტების შორის მომხდარა რამე უთანხმოება, ეს უკანასკნელი ყოველთვის მიჰიდობიანად ღ ხალხის სასარგებლოდ გათავებულს, და ამ მიჰიდობიანობის დამსგვირგვინებელი თითქმის ყოველთვის მეფე ყოფილა. ეს ესეც უნდა მომხდარიყო, თუ მხედველობაში მივიღებთ ამ მეფეების ჩამომომავლობის ვითარებას. არ არის არც ერთი შტო მეცნიერებისა და ხელოვნებისა, რომელშიაც ბერნადოტებს არა ჰყვანდეთ თავისი წარმომადგენელი. ამ სამეფო გვარმა კაცობრიობას

აჩუქა რამდენიმე გამორჩენილი სამხედრო გვარს, რატიანთა, თხი-
 ზელის და კეთილ-გონიერი სახელმწიფოს მმართველი. სახელმწიფოს
 მართვის შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ ბერნადოტის შვილმა რსკან
 პირველმა მოახდინა რამდენიმე ლიბერალური ცვლილება, რომელზე
 მაგალითად: მან გამოსცა ახალი კანონები მონების განთავის-
 უფლების შესახებ, კაცნი და ქალები გაათავისუფლა უფლებრი-
 ვის მხრით, კანონებით განთავისუფლა მენაშხირები, რომელ-
 ნიც კალდებულნი იყვნენ ნახშირი მიუყიდნათ უთუოდ ახლ-
 მახლო ქარხნისთვის იმ ფასად, რა ფასსაც ეს ქარხანა შე-
 ძლეოდა. ამას გარდა იგი მეფე ზრუნავდა ხალხის განათლები-
 სათვის; ხშირად მოგზაურობდა თავის სამეფოში, რომ პირად
 გაეცნო ხალხის საჭიროებას. მაგრამ ყველაზედ შესანიშნავი მი-
 სი რეფორმა შეეხებოდა საზღვრობილეს, რომელიც დღეს ისეა
 მოწყობილი, რომ ამ მხრივ შეეცინას არ ჰყავს ბადალი მთელ
 ევროპაში. თავის აზრების დასამტკიცებლად ამ მეფემ დასწერა
 ერთი წიგნი სახელად: «დასჯაზედ და საზღვრობილებზედ»,
 რომელშიაც მჭკვრეტეულობით ამტკიცებდა «რომ ბრალდებუ-
 ლი მაშინ გარდაიქცევა სასარგებლო მოქალაქედ, როცა სხვა
 ავანაკებთან კი არ დავატრუსალებთ, სადაც უფრო ეცემა ზნეობით,
 არამედ როცა განშორებით გამოეფეთ და კეთილის მოქცევით
 აღუძრავთ სურვილს შრომისასა და ზნეობით გასწორებისა-
 სად.» რსკანის შვილის, კარლ მე-V მეფობის დროს ძირე-
 ულად იყო შეცვლილი კონსტიტუციის და სრულად მოისპო-
 წოდებრივ წესზედ დამყარებული პარლამენტი. კარლ მე-V ისე-
 თი შესანიშნავი მეფე იყო, რომ იმის პირიქნებაზედ რამდე-
 ნიმე სიტყვის თქმა ვგონებ მეტი არ იქნება. ის იყო კეთილი,
 გულ-უხვი კაცი. სტროგობდა უბრალოდ, ყველასთვის ჰქონდა
 კარი ღია, ხშირად დასუირობდა ქალაქის ქუჩებში; როდესაც

ეტლით დადიოდა, ხშირად ჩამოხტებოდა, მივიდოდა ნაცნობებთან სალაშარაკოთ; გლეხებს შეელოდა ხვნა-თესვას, ასწავლიდა გუთნის სმარებას; უყვარდა მხიარულობა და უვნებელი მახვილობა. ერთხელ ხალხი ავირობდა მხიარულად დასკედროდა მას, მაგრამ იმან გუჩრის ტანისამოსი ჩაიცვა და ისე შეუმჩნევლად გაიარა ხალხში. მეორეთ ერთ პასტორს, რომელიც უკვლავ კაცის მოქმედებას ხსნიდა ეშმაკის ზედ-გავლენით, და რომელიც ეპისკოპოსობის მიღების დროს მივიდა მეფესთან მადლობის გადასახდელად, მეფემ უთხრა: «არა, არა, მე ნუ მიხდით მადლობას».

დიუ-შალიუ გვიხატავს შემდეგ სანტიკრესო სურათს ამ შესანიშნავ მეფისას. «როდესაც მოვიდოდა ნახვა ამ მეფისა მე ვითხოვე აუდიენცია ამერიკელი ელჩის პირით; თუმცა ეს, როგორც მითხრეს ადგილი არ იყო, რადგანაც მეფე მგლოვიარე იყო ახლად გარდაცვალებულ დედოფალზე და თვით მეფეც ავად-მყოფობის გამო სტოკოლმში არა სცხორებოდა, მაგრამ ჩემდა სასიამოვნოთ მეორე დღეს მოვიდა ქალაქში, და შინაურულად მიმიღო სასახლის პატარა ფლიგელში, სადაც ის ჩვეულებრივ სცხორებოდა. დანიშნულ დროს მივედი და კარის მცველმა არც კი მკითხა სად მივდიოდი. ავიარე კიბე, ზევით დავინახე ლაქია და ვკითხე: შეიძლება მეფე ვნახო მეტეი. იმათ გამიღეს კარი და შევედი ბიბლიოთეკაში, სადაც შუა ალაგას იდგა ბილიარდი. წიგნები, როგორც უღებზედ ეტყობოდა, მუქთად არ ეწყო შესაფუძნებში, არამედ მათ ხშირად ვითხოვლობდნენ. რამდენიმე წამის შემდეგ ოთახში ერთმა უბრალოთ ჩაცმულმა კაცმა გამოიარა, მას ორი აფიცური მოსდევდა. იმან სალაში მომცა და ისე საჩქაროთ შევიდა მეორე ოთახში, რომ მე ვეღარ მოვასწარ სალაშის მიცემა. მალე

აფიცრები ისე დაბრუნდნენ და მითხრეს, რომ მეფე მზათ-
არის თქვენ მისაღებადაც. იმათ შემიყვანეს ერთ ცალკე ოთახ-
ში და მე პირის-პირ ვუცქეროდი შეუცდისა და ნორკუგის მე-
ფეს. იგი მომიანჯლოვდა, ჩამომართვა ხელი და მითხრა რომ
მოხარულია ჩემი შეუცდიაში მოსულისთვის. იმისმა ალერსიანმა
ქცევამ, კეთილმა სახემ ისეთი სასიამოვნო შთაბეჭდილება მო-
ახდინა ჩემზედ, რომ ჩემს თავს ჩემს სახელში ვგრძნობდი. მე-
ფე იყო ძალაღის ტანისა, კარგად მოსული და თუძცა ავად-
მყოფობას თავისი ბეჭედი დაესვა, მაგრამ მაინც ეტყობოდა,
რომ ის ყოფილა ერთი ღამისი მეფეთაგანი. მე ამერიკელი
მწერლების მაგივრად მადლობა გადაუხადე აუდიენციის ბოძე-
ბისთვის, და დაუმატე, რომ იმას შეერთებულ შტატებში იც-
ნობენ როგორც პოეტს, არტისტს და ყველა პატივისცემით
და აღტაცებით იხსენიებს.

— «დაიღ, მიპასუხა იმან:— მე მოხარული ვარ, რომ თქვენ
ნახავთ, რა ხალხიცა ვართ, მაგრამ დაკსნდეთ.

«მიმითითა სავარძელზედ და თვითონაც ჩემ პირ-და-პირ
დაჯდა. მერე მითავაზა სიგარა და როდესაც უარი გამოვუც-
ხადე და ვუთხარი, რომ ჩემს დღეში არ მომიწევია მეტქი,
იმან ალერსით მეითხა: «ხომ არ დაგიშლით, რომ მე მოვ-
წიოთ? მეფემ მოუკიდა სიგარას და სთქვა:

— «დაიარეთ ჩვენი ქვეყანა, დაათვალიერეთ ჩვენი საზოგადო-
სკოლები, ჩვენი უნივერსიტეტები, ჩვენი სამეცნიერო დაწესუ-
ბულებანი; ჩვენ ყველას გვწამს განათლების დიდი სიკეთე. ნა-
ხეთ ჩვენი რკინის გზები და არხები; ყველაფერს ყურადღება
მიექცეთ. თქვენ უთუოდ გაიცნობთ ბევრს ჩვენ მეცნიერთა-
განს, რომლებიც გიჩვენებენ ჩვენ კოლეჯებს და შეგატყობი-
ნებენ ბევრს საინტერესოს.

«შეუმჩნევლად საუბარი გადავიდა მეურნეობაზე და კარ-
ფის სთქვა:

— «უწინ, მინამ მეფედ გავხდებოდი, მე ვიყავი ფერმერ-
და ძლიერად მიუყარდა სოფლის ცხოვრება, მაგრამ იძულებუ-
ლი გავხდი თავი დამენებებინა მისთვის; მე დრო ცოტა მაქვს,
საქმეები გი ბევრი. და მან ხელ-მეორედ დაიწყო ღაპანაკი
ხალხის განათლებაზე.

— «ხალხი უნდა იყოს განათლებული, სთქვა მან გაცხარე-
ბით:— ჩვენ მშვენიერი განონი გვაქვს, რომლის ძალითაც უკუ-
ლა ბავშვმა უნდა იაროს სკოლაში. მაგრამ ჩვენთვის ეხლა სა-
ჭიროა ბლომით რკინის გზები, თუღი და მცხოვრებლები, რად-
განაც ჩვენი ქვეყანა დიდია და შეუძლია უსაჭიროესი რეფორ-
მების შექმნა, უფრო მოძველებული ხალხის გამოკვება: მერე
იმან მიჩვენა ძველებური იარაღები, და უკვლავად თითო რამ
შენაშვნა მითხრა.

— «მე გავიგონე, რომ თქვენ სიკვდილით დასჯის წინააღ-
მდეგი ბძანდებით? კვითხე მე სხვათა შორის.

— «კაცს უფლება არა აქვს სიცოცხლე წაართვას თავის მოყ-
ვასს, სთქვა მან მწუხარების ხმით:— მე იძულებული ვიყავი რჩეულ
მოძეწერა ხელი სიკვდილით დასჯის განაჩენზე, ისიც იმიტომ
რომ ვერ ვეწინააღმდეგე საზოგადოების სურვილს. მაგრამ ეს-
ლა გი დროა ჩემი წასულისა;— დახედა საათს და სთქვა მან—
თქვენ ხომ იცით, რომ მგლოვიანეთა ვარ, უჭეოფოთა ვგრძნობ
ჩემს თავს და არც სტოკოლმში ვცხოვრობ. ხვალ ბობძან-
დით ჩემთან ულრიკსდალაში. ეს ქალაქიდან შორს არ არის.»
და აქვე ამიხსნა როგორც უნდა წავსულიყავი.

— «მაგრამ, არა, მე უკვლავთერს დაგიწერთ, თორემ თქვენ
დაგვიწულებათ;— გამოძარტვა გარანდაში, ქალაქის ნაჭერი და

დაწვრილებით ამიწერა, სად ან როგორ უნდა წავსულიყავი.
«შემდეგ წამოდგა, ხელი მაგრად ჩამომართვა და მით-

ხრა:

— ნახვამდის.

«ჩემი აუდიენცია გათავდა, რასაკვირველია მეორე დღეს
წავედი ულრიკსდალში, რომელიც მშვენიერ ადგილზედ არის
აშენებული; უწინ იყო კაზარმად, მაგრამ ესლა კარლმა მშვე-
ნიერ საზაფხულთ აგარაკად გარდააქცია. როდესაც მივედი, სა-
სახლას ფანჯრები და კარბები დაღებული იყო. მე შევედი
დიდ კარბში და დავივიკირე: ვინა ხართ მანდ? ზეკიდამ ვილანტ
გამოჩნდა. «მეფე შინა ბძანდება? ვკითხე მე. «არა, მიპასუხ
იძან. კვ არ შეიძლება, ვუთხარი მე; ვუშინ მომიწვია დღეის
თვის. მეჩე შემიყვანეს შიგნით ოთახებში და მიჩვენეს ერთი
ოთახი, სადაც შემეძლო მეფის ნახვა. კარი შევაღე და დავი-
ნახე მეფე. ის იჯდა უსურთუგოდ და ათავებდა სურათის ხატ-
ვას. მე რომ შევედი, მაშინვე ჩაიტვა სურთუგო და საჭმესაც
თავი დაანება.

დამატარა მთელი სასახლე; მიჩვენა თავისით შეკრებილი
სხვა-და-სხვა ძველი ნივთები. კაბინეტში რამდენიმე ჰორტრეტი
ვეიდა იმისი. ერთი მარუჭა სახსოვრად საგუთარის ხელის წედ-
წარწერით და მეც მთხრავა იმის ალბომში რამე ჩამეწერა. ამი-
თი გათავდა ჩემი მეფესთან ყოფნა.» ასე უბრალოდ, ასე თავ-
მდაბლად ექტეოდეს ეს მეფე, არამც თუ მარტო უცხოელებს,
არამედ ყველას. იმიტომაც იმას ხალხმა დაარქვა «კეთილი მე-
ფე კარლი.» ჩემი უფროსი შვილი, ამბობდა იმაზედ ღედა,
იყო კერპი, თავის-ნება და ბევრი რამ ჩაიდინა რომ ხალხს
შესძულებოდა, მაგრამ ის ისეთი გულ-კეთილი, უბრალო ქვე-
ვისა იყო, რომ ყველას უყვარდა; მეორე შვილი კი ოსკარ II,

ეხლანდელი მეფე, ცდილობს დაიმსახუროს ხალხის სიყვარუ-
 ლი, მაგრამ ვერ მოუხერხებია. მართლაც ეხლანდელი მეფე
 ოსკარ II, თუმცა ბევრსა ცდილობს თავის ხალხის ბედნიერე-
 ბისათვის, მაგრამ ხალხის სიყვარული ვი ვერ დაიმსახურა. მი-
 ზეზი ამისი მეფის მძიმე ხასიათი არის და სამეცნიერო და
 სალიტერატურო მოღვაწეობა, რომელსაც ის მისდევს. საუმაწ-
 ვილეში იმან შეისწავლა ნაკონობა, დაიჭირა ეგზამენი აფიცი-
 რის ჩინისა; რამდენჯერმე იმოგზაურა ზღვაზედ, დაიარა ყვე-
 ლა ევროპის სახელმწიფოები; დასწერა რამდენიმე თხზულება
 ზროზად და ლექსად; გადათარგმნა «ფაუსტი» გოტესი და
 ტორკვატო ტასო შეკდურ ენაზედ, რის გამოც ის გახადეს გო-
 რესპონდენტად ფრანკფურტის აკადემიისა; დასწერა ისტორია
 კარლ XII, და ეხლაც სტატიებსა სწერს სტოკჰოლმის ყურ-
 ხალ-გაზეთებში. ყველა თავის თხზულებებში იგი ჭქადაგებს
 ძალიან ლიბერალურ აზრებს: «გაცობრიობის წარმატებისა და
 წინსწკლელობის საქმის შეუენება» არ შეიძლებაო, ამბობს ის,
 «და ამიტომაც, ვისაც სურს დაიმსახუროს სახელი სახელმწიფო-
 კაცისა, უნდა თავი შეიმაგროს ყველაფერში, რასაც ვი ვნებს
 შეუძლიან იმის ხალხისათვის, და ყოველ დონასძიებს უნდა ხმა-
 რობდეს ააცილოს მას უბედურება. ამ კაღდებულების ასრულე-
 ბა ზოგჯერ კიდევ იმსხვერპლის კაცს, მაგრამ იგივე იკავებს
 მას უღირს მოქმედებაში და ნებსა არ აძლევს მისდიოს მხო-
 ლოდ თავის პირად სარგებლობას და წუთიერ წარმატებას.»

რასაკვირველია მეფე, რომელიც საჯაროდ აცხადებს ამის-
 თანა აზრებს, ცხორებაშიაც არ უწინააღმდეგებს მათ, იმიტო-
 მაც დარწმუნებით შეიძლება ვსთქვათ, რომ კონსტიტუციო-
 ნური უთანხმოება, რომელიც აქ ჩამოვარ და ამ უკანასკნელ
 დროს, გათავდება მშვიდობიანად. ეს უთანხმოება თუმცა არ იყო

X

ძლიერი, მაგრამ მან ააღიჯა სალხი არამც თუ შიგ შიგნის-
 ნორვეგიაში, არამედ მთელ ევროპაშიაც, იმიტომაც იმაზედ
 რჩილდ სიტუაციის თქმა მეტი არ იქნება. მაგრამ მინამ ამას
 ვიტყვოდეთ, საჭიროა თვალი გადავაკლათ ამ სახელმწიფოების
 კონსტიტუციურ დაწესებულებათა. თუც ეს კონსტიტუცია დი-
 დი ხნისა არ არის, და ბევრი რამ არის შეტანილი ფრანციის
 1791—1793 წ. კონსტიტუციიდან, მაგრამ მაინც კიდევ შვე-
 ცია-ნორვეგიის კონსტიტუციას აქვს ბევრად განსაკუთრებული
 ხასიათიც. გარდა ამისა ამ რჩის ქვეყნის კონსტიტუციებიც
 ერთმანერთშიაც გაიჩევიან, ისე რომ... სამეფოდ უნდა ჩაი-
 თვალოს ნორვეგიაც თავის ნამდვილ დემოკრატიული წყობით,
 რასაც ცოტას არ უძლის ქონებრივი ცენზი, მაგრამ ეს ცენზი
 ისე მცირეა, და მთელ სალხსაც მამული იმდენი აქვს, რომ
 თითქმის ყველას შეუძლიან ხმა იქონიოს.

როგორც შვეციაში, ევრეთვე ნორვეგიაში მეფის
 უფლება შემკვიდრობითა და გადადის მამრობით სქესზედ. მეფე
 უთუოდ უნდა იყოს ლიუტერის სარწმუნოებისა, და ვალდებუ-
 ლია სცხორებდეს შვეციაში და დანიშნულ დროს კი—ნორვე-
 გიაში. მეფის არ ყოფნის დროს სახელმწიფოს განაგებს მე-
 მკვიდრე პრინცი, თუ სრულ-წლოვანია, თუ არა და—სახელმწი-
 ფო რჩევა. როდესაც საჭირო გახდება მეფის, ან შემკვიდრის,
 ან ამის მზრუნველის ამოჩევა, მაშინ იკრიბება რჩთავ პარ-
 ლამენტი ერთად. თითო პარლამენტი აირჩევს 30 კომისიას,
 მერე იწეებენ ცალ-ცალკე მეფის ამოჩევას. თუ რჩთავე პარ-
 ლამენტებმა ამოჩევიან ერთი და იგივე პირი, ხომ საჭმე ამითი
 თავდება, თუ არა და ეს საჭმე მიენდობათ კომისარებს. ესენი
 ირჩევიან კენჭით თავ-მჯდომარეს, ანუ რჩატორს და მერე ყვე-
 ლანი მიდიან კარლსტატში, რომელიც რჩთავე სახელმწიფო-

ბის სამხლვარზედ დგას. იქ შეერთებული კომისია სამოცდა
თორმეტი წევრით, კენტს უყრის იმ პირებს, რომლებიც ამო-
არჩიის შეეცია-ნორვეგიაში, რადგანაც ახალი კანდიდატების ამო-
რჩევა აკრძალული არის. ამ სახით ირჩევენ მეფეს.

მეფეს აქვს მინიჭებული უფლება ჯარის მოკრეფი-
სა, ომის გამოცხადებისა, შერიგებისა, სხვა სახელმწიფოებთან
დაკავშირებისა, აგრეთვე გაგზავნა და მიღება დიპლომატიური
აგენტებისა. მეფე არის თავი ლიუტერის ეკლესიისა; ისა სცვლის
და ნიშნავს ეკლესიის გამგებულთ; ის არის სარდალი ჯარისა; ის
ნიშნავს ყველა მოსამსახურე პირს, როგორც სამოქალაქოს, ეგ-
რეთვე სასულიეროს. მეფის პირფარება არის ნაკურთხი, არც
გაიკიცხება და არც გამტყუნდება; მართველობის ყველა მოქმედუ-
ბაში პასუხის მტებელი არის სახელმწიფო რჩევა. გარდა ამისა,
მეფეს შეეციაში აქვს მინიჭებული სხვა უფლებაც, რომელიც არა
აქვს ნორვეგიაში; მაგალითად, შეეციაში ჰკრეფავს და შლის პარ-
ლამენტს, იმ განსაზღვრულებით კი, რომ პარლამენტის მეორედ
დაშლა აღარ შეუძლიან ოთხის თვის ადრე; მეფე ნიშნავს
თავ-მჯდომარეს პალატებში; ის ამტკიცებს, ან არ ამტკიცებს
პარლამენტის გარდაწვევტილებას; იღებს შეეციის ჰეგემონ-
დომებათ უცხო ჰეგემონებს; აძლევს გრანდობას, თავადობას;
ყველა ეს უფლებანი არა აქვს მინიჭებული მას, როგორც
ნორვეგიის მეფეს. იმას შეუძლიან დაშალოს მხოლოდ არა
ჩვეულებრივი სხდომები პარლამენტისა, ჩვეულებრივის დაშლა
კი არას გზით არ შეუძლიან. პარლამენტის გარდაწვევტილე-
ბის სრული უარ-ყოფა არ შეუძლიან; ნება აქვს მხოლოდ გა-
დასდოს დამტკიცება მეორე ორი სხდომისთვის, თუ მაშინაც
პარლამენტმა ესევე გარდაწვევტილება მიიღო, მაშინ ეს გარდა-
წვევტილება ხდება კანონად მეფის დაუმტკიცებლად. ნორვეგიის

მეფეს არა აქვს უფლება თავადობის, ან გრანდობის ღირსების
ბოძებისა, რადგანაც ამ სამეფოში აზნაურობა სრულად არ
არის.

შვეციის სამეფო რჩევა შესდგება ათი წევრისაგან,
რომლებსაც ამავე დროს შეუძლიანთ პარლამენტის წევრობაც.
შვიდი მათგანი მინისტრები არიან: პირველი ანუ სახელმწი-
ფო მინისტრი, უცხო ქვეყნებისა, შინაგან საქმეთა, იუსტი-
ციისა, განათლებისა, სასულიერო საქმეებისა და სამხედრო;
სამი კი უზღვრულებია.

ნორვეგიის სამეფო რჩევა შესდგება თერთმეტი წევ-
რისაგან, უთუოდ ნორვეგიელებისაგან და პარლამენტის წევრო-
ბაც არ შეუძლიანთ. ამათში ორი სახელმწიფო მინისტრია;
ერთი მათგანი შვიდი წევრითურთ მართავს დეპარტამენტებს: გა-
ნათლებისა, სასულიერო საქმეებისა, იუსტიციისა, შინაგა-
ნის საქმეებისა, ფინანსებისა, ფლოტისა, ფოსტისა და
განაგებს სახელმწიფოს, რაცა მეფე ნორვეგიაში არა სცხოვ-
რობს; — მეორე — ორი უზღვრულები წევრითურთ იმყოფება შვე-
ციაში მეფესთან, რომელიც არჩევს ნორვეგიის საქმეებს მსოფლოდ
იმათი თანადასწრებით. გარდა ამისა ეს ნორვეგიის წარმო-
მადგინებლები მონაწილეობას იღებენ შვეციის სახელმწიფო
რჩევაში, რადგანაც იქ ირჩევა რამე საერთო საქმე.

შვეციის და ნორვეგიის პარლამენტების შინაგანი
წესები რომ შევადაროთ, ჩვენ შევნიშნავთ, რომ უკანასკნელს
უფრო ვრცელი უფლება აქვს მინისტრული. თუმცა ნორვე-
გიის სტრუქტურისა არა ჰყავს თავისი განუყოფელი პარლამენ-
ტობა, და არა აქვს უფლება სახელმწიფო რჩევის წევრის და-
თხოვნისა, მაგრამ ამას იმის ნაცვლად აქვს უპირატესობა რიგ-
სტრუქტურაში, რომლის ვალიც არის განსჯა უმაღლეს სახელმწი-

ფო პირთა. გარდა ამისა ის არის უმაღლესი კანონმდებელი დაწესებულება, რადგანაც მეფის «ვეტო» (უარი) სრულად კი არ დაარღვევს გარდაწვევტილებას, არამედ იწვევს საქმის მეორედ გარჩევას. უკანასკნელ დროს მეფეები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ სტორტინგი, რომ მას შეეცვალა ნორვეგიის კონსტიტუციის და შეეთანხსწორებინა შეეცვიის კონსტიტუციასთან. მაგალითად ბერნადოტიმ შეიტანა წინადადება, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ ესრედ წოდებულ განუკითხველის უარყოფის უფლებას (безусловное veto) იმიტომ ვითხოვ რომ შევთანხსწორო ნაციონალური წარმომადგენელობა და დავიცვა ხალხი საკუთარი გატაცებისაგანაც. მაგრამ სტორტინგმა უარჴყო მეფის წინადადება. ამან ძალიან გააჴვირა ბერნადოტი და როდესაც ძალე სტორტინგმა მიიღო კანონი აზნაურობის მოსპობისა, მეფემ უარი სთჴვა. ამ უკანასკნელ დრომდინ ეს ერთად-ერთი უთანხმობეაა მეფისა და სტორტინგის შორის. მეორე სესიაში სტორტინგმა მეორედ მიიღო კანონი, მეფემ მეორედ უარ-ჴყო. მესამედ რომ უნდა გადაესინჴათ ეს კანონი, მეფე თვითონ მივიდა ქრისტიანიაში, ბევრი ეცადა, რომ შეეჴერებინა სტორტინგი, ეხვეწებოდა, ემუჴრებოდა, ჴარებიც გამოიწვია ნორვეგიის სამზღვრებისკენ; თუმცა უბრძანა სრულა აეტეხნათ, მაგრამ სტორტინგმა თითჴმის ერთხმად, გარდა რი სამი პირისა, მიიღო ეს კანონი მესამედ.

ესლანდელმა მეფემ ოსკარმა II განაახლა ეს უთანხმობეა. ის ცდილობს ისარგებლოს უარ-ყოფის უფლებით სტორტინგის იმ გარდაწვევტილების შესახებ, რომელიც უკანონოდ მიაჩნია, და გარდა ამისა საჴაროდ ამტკიცებს, რომ მას, კონსტიტუციის ძალით, ეკუთვნის განუკითხვად (безусловно) უფ-

აქვს უარ-ჭყოს ყოველი წინადადება სტრუქტურისა კონსტიტუციის შეცვლის შესახებ. საინტერესოა აქ შემდეგი ფაქტები: ამ უთანხმოების გასარჩევად მეფემ მიჭმარათა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს, და სთხოვა გამოეკვლიათ ეს საგანი. გაზეთებიდან ვიცი, რომ ამ სამეცნიერო კრებაში სთქვა სიტყვა მეფის განუკითხავად უარ-ყოფის (veto) უფლების სასარგებლოდ. ჩვენ არ ვიცი, ვისგან შესდგებოდა ეს სამეცნიერო კრება, არ ვიცი, რითი ხელმძღვანელობდა ის გადაწყვეტილებაში, იქნება აქ მოქმედებდა ვინმე, ან რამე; ბევრი რამ შეიძლება ვიფიქროთ: აქ საინტერესოა ეგ არ არის; აქ საინტერესოა თვით მეფის მიმართვა მეცნიერებისადმი.

რითიც გათავდება ეს კონსტიტუციური ბრძოლა, რომელსაც მთავრობა სცდილობს მისცეს ნაციონალურის ბრძოლის ხასიათი—ამას დაგვანახებს მომავალი. მაგრამ ნორვეგიაში ეხლა საჯაროდ ლაშარაკობენ რესპუბლიკაზე; შვედიაში კი ამტკიცებენ, რომ ჩვენ არა გვსურს კავშირის დარღვევა, რომელიც დამღუბელი იქნება რჩთავე სახელმწიფოებისთვისაო. ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს განხეთქილება მოხდეს, იმიტომ რომ შვედია ნორვეგიაზე ნაკლებ არ აფასებს ამ კავშირს. მართალია ნორვეგიაში ამ უკანასკნელ დროში ძალიან გამრავლდა ულტრა - რადიკალური გაზეთები, მაგრამ მათ ქადაგებაში ცხადად გამოსტევივის ნამდვილის ნორვეგიელების კეთილგონიერება, სიმტკიცე და თავ-დაჭერილობა. ბერნსონი ამბობს: «ნორვეგიელები სოფელეთაგან შემდგარი ერია, სადაც ქადაგებს მცირე ადგილი უჭირავთ და რჩი მესამედი დებუტატებისა ირჩევა სოფლებში. არ არის არც ერთი მხარე ქვეყანაზედ, სადაც ნორვეგიაზედ უკეთესი ვითარებანი არსებობდნენ

მართკუთხედისთვის. იმის მცხოვრებლები ერთ-ნაირნი არიან, და მთელი ძალა მათი იმაში მდგომარეობს, რომ მიწის მთელა-ბუნნი მასთანავე მიწის მომჭმედნიც არიან და ამასთან განათ-ლებულებიც. გარდა ამისა, ნორვეგიელები არიან ზნეობის და-მცველნი, მართლ-მსაჯულნი, თავ-დატყერილნი და მინდობილნი მხოლოდ თავის თავზედ. ნორვეგიის მცხოვრებნი ეუფლნი და ზოგანონი არ არიან, რომლებიც დღეს აქა სცხოვრობენ, სკალ სხვაგან, არამედ ესენი სცხოვრობენ ყველას თვალ-წინ. რა დაემართება შვედია-ნორვეგიის კავშირსაო, მეკითხებიან ბევრ-ნი. მე ვუბნასუხებ: ეს კავშირი ისე ძვირად ჰქვიათ ორთავე ხალხისათვის, ჩვენ ისე შეკვირვებით მას, რომ იგი დარჩება ყოველთვის უცვლელად, რა გვარი მართებლობაც უნდა იქმნას შემოღებულად.»

ამ აზრისა არის ბიერნსონი. ის დაწმუნებულა, რომ მეფე შეტდომილებასში შეჭყვით იმის მახლობელ პირებს, რომ-ლებსაც არ ესმით ნამდვილი საჭიროება ქვეყნისა; ის დაწმუ-ნებულა ეგრეთვე, რომ ეს მეორე კონსტიტუციური ბრძოლა ისევე მშვიდობიანად გათავდება, როგორც პირველი აზნაუ-რობის შემოღების შესახებ. ეს აზრები ბიერნსონისა მით უფ-რო შესანიშნავნი არიან, რომ ბიერნსონი, სხვა ნაირად უცქე-რის მეფესა, იმის შეუწავსებით მოხსენებისათვის. მეფემ ეს გარემოება აცნობა უზენაეს სამსჯავროს, რომელმაც ბიერნ-სონს გადაუწყვიტა საპურობილეში ჩაჯდომა, მაგრამ ბიერნ-სონმა იჩიოთ თავის ქონების გაყიდვა და ჯერ გერმანიაში, მერე ამერიკაში გადასახლება. ის იქ დარჩა რამდენიმე წელი-წადი. მხოლოდ ესლა-ხან დაბრუნდა სამშობლოში და მიიღო წინამძღოლობა რადიკალურის, დასისა.

შუტის მეფეს, ოსკარ მე-II, ან შეუძლიან მიჰხადოს ან
 ნაპოლეონ მე-III, ან ბისმარკს; ის ისეთი გულ-წრთული ლი-
 ბერაღია, იმას ისე ძრეულ უყვარს თავისი ხალხი, რომ ის
 თავის პირიქან სარგებლობას და უფლების გაძლიერებას ან
 მიიყვანს უკიდურესს მდგომარეობამდინ, იმიტომაც უთანხმოე-
 ბა ჰარჯამენტისა და მეფის შორის გათავდება და სამეფო
 ასევე მშვიდობიანად დაიწყებს ცხოვრებასა.

(დასასრული შემდეგ)

ირაკლი და კოხტა ბელადი ¹⁾

1

ირაკლიმ ვახეთს შესძახა: «ვახეთო, მოდის მტერიო,
ახა ჩვეულებათ რეგორცა, მტერს აუყენოთ მტერიო.
ზოგი გადმოვა საცხენისს, ზოგი კოდორით, ფოხლითა,
მტერს მივეგებნეთ სიმღერით და წინ დაუხვდეთ ხელებითა.
კოხტა ბელადი მოუძღვის, მოუძღვის გვემუქარება,
იმისი ჯაკრი ძველად მჭირს და ჩემს გულს აღარ შორდება...
ახა გამოდით, ისწრაფეთ, გამოდით ჩემო ვახელნო,
ვაყვარებასა სიყრმითვე და მტერთან შებმას ჩვეულებო!»

2

მზე ჩაესვენა დასავალს, ბნელმა მოიცვა მთა-ბარი.
ღამეა ბნელი, წყვილია, ღრუბლით მოცულა ცისკარი;
ცაში არ ბრწყინავს ვარსკვლავი, ძირს ველზედ--ცეცხლი მწყემსისა,
სიბნელე არის სოფლებში, არსად სჩანს ჭრახვი გლეხისა;
ნისლის სუდარას მოუცვავს აღაზნის ველი ზუჭმუსტი,
თითქო ღრმად სძინავთ ვახელთა, თითქო მოძვედარა ვახეთი...

3

ილევა ღამე... ვახეთსა თავის შიშვადე ეხსნება,
ცა იმოსება ღაყვარდით, ვარსკვლავთ სხივითა თენდება...

¹⁾ ნამდვილი ისტორიული ფაქტი.

მთათ წვერთ მოეცვენ ღრუბელი, დრო არის განთიადისა,
 ჭკუენის მნათობის ამოსვლის, დრო არის გარყვანისა.
 რყვასებს... ცაში ვარსკვლავნი ბუბუტკენ, ნელ-ნელად ჭჭრებიან;
 გახეთს მოესხნა პირბადე, მის ტურთა კელი სჩნდებიან.
 მზის ამოსვლად შეხედეთ გახეთს, შემოსილს მწვანითა,
 იმის ცას, იმის მთა-ბარსა, მის კელს, დანამულს ცვარითა!

4

გახეთო! ნუ თუ კვლავ გითხრა, შეკნებით შემკობილი ხარ!
 ან ვით შეგამკო, ან რა ვსთქვა, მთლად ივერიის თვალთ ხარ!...
 მოყვასნო, წაკალ ამ სოფლით, მოკვდები გახეთს, დამმარხეთ,
 გულ-დაწყულულებულს სოფლისგან მით, ძმანო, სული მიხარეთ.
 ჩემს საფლავადინ აწკვდეს ღვინის ტბილი ბიბინი;
 ხმა ფერხისისა სოფლიდგან, ღრუბლის ტბილი დიდინი;
 ერთის მხრით ცამდინ ასული ამყთ მთათ რიგი დამცქერდეს,
 მეორით—მწვანე გომბორი, იმის ნიავი დამბერდეს;
 იმ არეს ახლო, მოყვასნო, სადაც მარხია * * *
 იქ ვაზებს შუა უდროო სჩანს მისი წმინდა სამარო.
 ვიყავ ჭაბუკი, ის იყო ამომავალი ვარსკვლავი...
 მოყვასნო, გახეთს დამმარხეთ, იქ არის იმის საფლავი.

5

გათენდა აჭა მოისმა. ბუკის ხმა, მალლა ნალარა,
 მას ხმას იცნობენ გახელნი, სხვა სწავროს აღარა.
 მოისმა ის ხმა მთა-ბარში, სიღნაღის ციხით მალლითა,
 ფშაკში, თუშეთში, გაღმადგან, შილდით, გრემიდგან, ყვარლითა.
 იმ დიდს ხმას თავის წიაღით ხმას ხეობანი აძლევენ:
 მოდისო მტერი, გახელნო, გახეთს ოთხ-გუთხივ ასმენენ...

მტრო, რა გინდა, რას გგერჩი, ჩვენი წახდენა რათა გსურს?
 ნუ თუ აღაზნის შეკნება, მის წაღკოტები ჩვენთვის გშურს?
 მაგრამ გახეთი, ვით დედა, გახისთვის საყვარელია,
 იმისი მკლავი, მარჯვენა მის ტურთა ველის მცველია.
 არა! არ სძინავს გახეთსა, შეჭურვილია, მზად არის,
 ჩასათურებელი მტრის გზებზედ მაგრად, მამაცად მტერს ელის.

6

მაგრამ ვინ არის
 მბძანები ჯარის;
 გულით და სულით ჯარი ვის უძებრს?
 ვინ არის, ვინა,
 სდგას ჯარის წინა,
 დიდის ბრძოლის წინ გული არ უძებრს?

—
 მხოლოდ მბრწყინავით
 თვის კვირცხლის თვალით
 განსვენებული ელოდინება
 მომგზავინავს მტერსა
 და მშვენერსა
 თვის რაშის ვისურს ეაჯერსება,—

—
 ტანი-დაბალი,
 შუბლი-მაღალი
 თვალი გამჭვრეტი, ვით არწივისა;
 მოშალ თურით,
 ჭაღარა წვერით
 მოსული მკერდი, ბეჭი გმირისა.

მოარღვევს მტერი,
 ცას ადის მტერი;
 ისმის აზანი, ისმის ნაღარა!
 ვინ ღვას მტრის წინა,
 თითქმის შინა?
 ნუ თუ ის არის კახი ვატარა?!

ზის გმირი რაშხედ
 ამპარტავანზედ,
 შაისევანი მას ეწოდება;
 რაში ჭკვიანი,
 გონებიანი
 არაბისტანის მშვენიერება.

შეიქნა ბრძოლა,
 ყიყინა, სრულა;
 ომის საზარო ხმა ცამდინ ადის.
 ომია ძნელი,
 ფიცხელი, გრძელი...
 ლეკი კახსა თუ, კახი ლეკს დასძლეოს?

მაგრამ ვინ მოჭკრის,
 ვით ვეფხვი მოხტის;
 რისხვით, ვით ვეფხვი, კლდე-ღრეს მოარღვეოს?
 მრისხანე ხმითა,
 შიშველის ხლმითა
 ვატარა კახსა საბრძოლად იწვეოს?...

ირაკლი და კობტა ბელადი

არ ვეფხვი ტყითა,
ლამი ვეფითა.

არა! ეძგერა ვატი ვაცსა—მტერს...

ვეფხვი ერთის მხრით,
ლამი მეორით!—

სად არის მუზა, რომ გუფს შთამბერდეს

—

ლექსა მგრგვინავსა,

ლექსა მდიდარსა,

რომ ვით ის ბრძოლა, ისე გრგვინავდეს,—

რომ ვახსა გუფი,

ჭკულობით სრუფი,

იმის ვითხვანუდ თრთლვით უძგერდეს!...

—

ლრი ვამარა

რამა იკმარა.

შაისევანი ეძგერა კობტას...

ირაკლის მჭრელმა

იულა ხმალმა...

კობტა ბელადი გაერთხო მიწას!

—

ვახლეთ იგრგვინეს,

ხმალნი იშიშვლეს

რეგორც არწივი, მიფრინდნენ მტერსა;

დაიძრა მტერი,

მას ასდის მტვერი.

მიწბის, მიაწვდეს მთას, ტყეს ღ ღრესა...

7

ბეკრჯულ უნახავს გახეთსა ამ გვარი ბრძოლა სჯულდისთვის;
 ნიაღვრად სისხლი უღვრიათ მშვენიერის მამულისათვის.
 მარჯვენით ხმალი სჭერიათ, მარცხენით უმუშავნიათ,
 მტერთა სიმრავლე და სიმხნე არაფრად მიუჩნევიან.

8

გახეთი ბრწყინავს მზის სხივით, აღაზნის ზვირთი გრძალებს,
 ირავლის სული ზეცითგან მათ უმზერს, მათზედ ტრიალებს.

3. მ.

ზ ა ნ კ ი ც ხ უ ლ ი

(მოთხრობა)

I

18... წელსა, აღარ მახსოვს რა თვე იყო, გავიგე, რომ ერთი ჩემი ბებერი ბიძათაგანი ცოლს ირთავს და იმისმა ორმა კარგად ხანში შესულმა „ღებმა მოიგლიჯეს თავები და მოთქმით დაიწყეს ტირილი ამ შემთხვევაზედ, რადგანაც ცოლის შერთვამდის ძმა ხელში ეჭირათ და იმის კარგს შეძლებას სურვილისამებრ ფლანგაკდნენ, მაშინ როდესაც ცოლის შერთვის შემდეგ ნება-უნებელი უნდა მოესპოთ თავიანთი თავისუფალი და უპატიოსნო ცარცვა და უკლეფა.

მაგრამ ვიდრე ჩვენს მოთხრობას გაკავრძელებდეთ, მესურს გაგაცნოთ ის პირები, რომლებზედაც დავიწყე ლაპარაკი. ბატონი „პროფორუშკა“ გელასიანი, მდიდარი მუხეტონე, გასუქებული, ლაზთიანის ღიბით, ორმოც-და-ათი წლის კაცი სწორედ ის გახლდათ, რომელიც ცოლს ირთავდა.

რგვალი მსუქანი სახე, შეღებილი თმა-უფვაში, სულელური სახის გამოძეტუვლება და მოკაკული გრძელი ცხვირი გრავის მიიზიდავდა, მაგრამ კარგი შეძლება ხდიდა იმას ერთს საუბრეთესა საცოლეთ, რომელსაც ბევრი დედები ნატრობდნენ თავის ქალებისთვის.

ამისმა მომდევნო გაუთხოვარმა დამ, საკმაოდ გამოქნილ-
მა და უჭიმობისაგან გაბრახიანებულმა, მაგრამ ბევრით უფრო
ჭკვიანმა თავის ძმად, მალე ჩაიგდო ხელში უხასიათო «პრ-
ფერუშკა», და ისე ჭყულებდა, როგორც კი შესძლო.

სანამ და გვერთთა ჭყუნდა, იმან თავისი სურვილი არ
იტოვდა, რადგანაც უკუღმართი დაზედ იყო დამოკიდებული და
ამის მბძანებლობით გარდაწყდებოდა ხელში ყოველივე საქმე.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ «პროფერუშკას» გული
ჯერ გერაკის შეხურა და ისე თავისუფლად დადიოდა. მაგრამ
პროფერუშკას დამ სოფიომ მოიწადინა სოფელში გასეირნება
და სწორედ ამ დროს ძმა გაუბეს მახეში. იმას ისე გადასწე-
რეს ჯვარი, რომ სოფიომ კვლახატურის მოხერხება ვეღარ მო-
სწირა.

ჩემი დამოკიდებულება პროფერთან იყო შემდეგი: მე ვი-
ყავი იმისი ნათესავი, საზნაუბროთ მოსული რუსეთიდან,
სადაც ვსწავლობდი უნივერსიტეტში. მე ვიყავ სულ ოცის
წლისა და მაშასადამე არა სრულ-წლოვანი, ამისთვის აბეკუნად
მეკანდა დანიშნული პროფერუშკა. მე დაკობლდი ხუთის წლი-
სა და მას აქვთ პროფერუშკას განკარგულების ქვეშ იყო ჩემი
მამული, რომელსაც ისე შეეჩვია ჩემი ბიძა, რომ თავის სა-
კუთრებად სთვლიდა.

პროფერამ და სოფიომ მოიანგარიშეს, რომ სრულებით
მეტია ჩემთვის რისიმე ძლევა და ამჯობინეს მთელის შემოსავ-
ლით თითონ სარგებლობა. თუმცა მე სახელმწიფო ხარჯით
ვიყავ უნივერსიტეტში და გაკუთილებიც მქონდა, მაშასადამე
თუღი არა მჭირდებოდა, მაგრამ მაინც რაღაცა ბუნებითვე
კრძალული ხასიათისა გამო ბიძა ჩემს მოჩიდებით ვეჭვოდი,

თუნდა სირცხვილიც იყოს, უნდა გამოვტყუდე, რომ მეშინოდეს კიდევ.

რას წამს ხმა მოვიდა ჰორთუილის ნიშნობისა, სოფიომ მასშინვე გაჭკრა და ჩაიჭრა ქალაქში, რათა ჩაეშალა ეს თავისთვის უსიამოვნო საქმე, მაგრამ გვიან ღა იყო — ჰორთუილისთვის ჯვარი უკვე გადაეწერათ.

მე შინდოდეს მომელაპარაკნა ჩემს ბიძასთან მამულებისა და შემოსავლის შესახებ, რადგანაც სამძღვარს-გარეთ წასვლას ვაპირებდი და ამისთვის გავსწიე ქალაქს, სადაც ჰორთუილურება სცხორებდა.

მე შევედი სწორედ იმ დროს, როდესაც ისინი სადილზედ სხდებოდნენ. ყველანი წამოიშალნენ და მომეკებნენ. აჭიყუნენ რამდენიმე ნათესავი სოფიოსი დედის მხრით, თავზედ ხელ-აღებული აფიცრები, სოფიოს მომდევნო და ელენე, თავდასიებული და თმა-გაბურძენილი ბიძა-ჩემი და ერთი ყმაწვილი ჩვიდმეტ-თვრამეტე წლის ქალი, განსაცვიფრებელის მშვენიერი სახისა.

სოფიომ მომიკიდა ხელი, მიმიყვანა იმასთან და წარმადგინა:

— ეს ჩემი ბიძა-შვილია, უთხრა იმას და მომიბრუნდა მე: — ესეც ჩვენი ახალი რძალი. სჭამს და სვამს ისე, როგორც სხვა მომაკვდავნი. ლაპარაკიც იცის, სიტყვიც; ხანდისხან ფორტუზიანზედაც უკრავს.

ყველამ ხარხარი დაიწყეს ამ სიტყვებზედ. ქალი მთლად აინთო და თითონ მეც შევამჩნივე, რომ გაკწითლდი ამ უცნაურის წარდგენით. თავი დაუუკარ და ხელზედ ვაკოცე.

— აი, ხედავ! გაწითლებაცა სცოდნია, დაუმატა სოფიომ.

— შენ უფოთხილდი, არშეყოფა არ დაუწყო, თორემ... აღარ

გათავა სიტყვა სოფიომ და მე მთლად აკუნთე. ესლა აღარ შემიძლიან მოვიგონო, რა წამოვრეოდი იმ დროს, მაგრამ რამ ეს სიაულებელი უნდა ყოფილიყო, დამტკიცდა საზოგადოების განუწყვეტელი ხარხარით. ბოლოს, როგორც იყო, დაკსხედით. ახლად ჯვარ-დაწერილს ქაღალს თავი დანებეს, ის გადავიწყდათ, ვითომც იქ აღარ იყო, და ყურადღებას თუ მიაქცევდა ვინმე, ეს იყო დასიცლილი იმის გამოუცდელია.

მარცხ, ასე ეძახდნენ ჩემს ძალუას, წითლდებოდა და იცინოდა იმათთან ერთად, მაგრამ გამოცდილი თვალი ვი აშკარად შეამჩნევდა, რა რიგად ამცირებდა, სწყინდა ეს დასიცლილი.

პროფიტორუშკა თავ-ჩაღუნული სჭამდა და თითქოს ვერ ამცნევდა, რა რიგად სწყდებოდა გული იმის ცოლს. მე გამტკრებული შევტყუარდი ამ ცხოვრებას და კარგად ვერ გამეგო: მარცხი მარცხის გულთ იცინოდა და ვერ მიმხვდარყო, რამ მასხარად იგდებდნენ, თუ იმის სიცლილი მარტო ფარდა იყო თავის უბედურებისა, რომელიც არავისთვის უნდოდა ეჩვენებინა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რამ თანამგონობელს ვერ იზოვიდა.

გათავდა სადილი, პროფიტორუშკა წავიდა თავის კაბინეტში მოსასვენებლად, სოფიო და იმისი და თავიანთ ოთახში წავიდნენ, სადაც გაჩვენენ აფიცრები, მარცხი—ვი დარჩა მარტოდ სასტუმრო ოთახში. მე წაღასში ვიზოვე რაღაცა გაზეთი და დავიწყე ვითხვა.

ჩემს უნებლივ, გავიხედე სასტუმროში, სადაც მარცხი იჯდა და დაკინახე იმისი დაფიქრებული სახე, რომელსაც მწუხარების ბეჭედი დასტულობდა. მე ჩუმიად დაგუწყე თვალიერება.

ის კარგა ხანს მისჩერებოდა ერთს ადგილს და ისე გა-

შტერებით უყურებდა, თითქოს რილასიც ამოკითხვა უნდოდა იქიდგან. ბოლოს კრძალულის ოხვრით აიღო ხელი, გადაისვა შუბლზედ, წამოდგა წყნარად და ოხვრით შევიდა თავის ოთახში.

მე გავადევნე თავი და, რა კარი მიიხურა, გადავწვიტე, რომ უბედური უნდა ყოფილიყო.

— რად მისთხოვების პრეტენზია? ნუ თუ მაგისთანა ემაწვილი, ჯამაზი, ცქრიალა შესაფერს ქმარს ვერ იშოვიდა? გაკოფიქრე მე და გავწიე ჩემს ოთახში, რომელიც სოფიომ დამინიშნა სადგურად. მე მივწიქ, რადგანაც უძილოც და დალალოც ვიყავ, მაგრამ ძილი არ მეკარებოდა. თავლ-წინ სულ მარცხი მედგა, იმისი დაღონებული სახე, რომელიც ისე ცხროვლად შთაიბეჭდა ჩემს გონებაში. ენის წკერზედ სულ ერთი და იგივე სიტყვები მიტრიალებდა: რად მისთხოვდა პრეტენზია! რად ექცევიან ასე უცნაურად, რასა გრძნობს მარცხი? და სხვ...

მე მსურდა შემეტყო, დაკმაყოფილებულიყავ ამ კითხვების გადაწყვეტით და ეს სურვილი იქამდის ძლიერი იყო, რომ დაწოლის ნებასაც აღარ მძლეკდა, მაგრამ, რამდენადაც მეტად შეკდიოდი ამ უდაბნო გარდახლართულს აზრებში, იმდენად მეტად მწყურდებოდა ჭეშმარიტების შეტყობა.

საღამოზედ პრეტენზია მოუყვანეს ფაიტონი და კლუბში წავიდა, სოფიო და იმისი და თავის ნათესავებით—მუშტაიღში სასუიჩნოდ: შინ დარჩა მარტო მარცხი, რომელიც თითქოს ამ სახლს არ ეკუთვნოდა და მე, რომელსაც იმ თავითვე აწავითარს ყურადღებას არ მაქცევდნენ.

მე გამოველ სასტუმროში და იქ დამხვდა მარცხი, რომელსაც ფანჯარა გაუღო და გასცქეროდა მშვენიურად მოკაშკაშე

ღამეს. სასტუმროში სანთლები არ ენთო და მთვარის შუქი
 შალ-შალად შემოწოლილიყო თანჯრებიდან.

— ძალუა, თქვენს ხართ? კკითხე მე.

— მე ვარ, მიზასუხს ამან და, არ ვიცი, მე ისე მომესმა,
 თუ ხმაში მართლად ხალკული დაეტყო.

— მე ვი მეგონა, რომ თქვენც სასუიროდ წაბძანდით.

— მე მაგათთან არ დაუდივარ.

— რატომ.

— ისე.

ამის შემდეგ რადენიმე ხანი სიჩუმე ჩამოვარდა.

— ამ წავხუჯს, ხომ არსად ავირებთ?

— არა. ჩემი ქმარი პეტრობურღში მიდის მე ვი აქ ვრჩები.

— დიდს ხანს დარჩება?

— საჭიებზედ არის დამოკიდებული. იქნება სამი, ოთხი
 თუე მოუგვიანდეს.

— მე რე არა სწუხართ, რომ ასე ჩქარა დაშორდებით?

— ვსწუხვარ, ძალიანა ვსწუხვარ. მწარის ღიმილით წარმო-
 სთქვა იმან.

— არა, ხუმრობა გაშვებით.

— მე არა ვხუმრობ.

ლესს თვისებას, მისს ძალას, რომელსაც ჩვენ აღვნიშნავთ დიდის სიამოვნებით. რაღაც ხსენებულ თვისებანი — მრავალ საგნიანობა და ნაცნობ საგნებზედ ბაასი — შეადგენენ «ნობათის» საზოგადო ღირსებას. და რამდენადაც ამ ღირსებით კმაყოფილი რჩება თქვენი გული, იმდენად უსიამოვნობასა ჰგონობთ მისი საზოგადო ნაკლულეკანებით, რომელსაც, უეჭველად, აიცილებს ყურნალი მოძალაძე. ეს ნაკლულეკანება იმაში მდგომარეობს, რომ «ნობათის» მომეტებული ნაწილი თითქმის არ წაკითხებათ მათ, ვისთვისაც იგი დაწერილია. არც მერე ნაკლულეკანება ჩამოუვარდება ამას: ენის უსუფთაობა.

ახუცილებლად საჭიროა საყმაწვილო ნაწერებით მოსწავლეს გაუადვილდეს სალიტერატურო ენის შესწავლა, არამც თუ საყმაწვილო მწერლობამ უფრო გააზვიადოს ენის პრინციპულიზმი და მით უფრო დააშოროს სალიტერატურო ენას. იმერული, მეგრული, არა სხვა მხრის პრინციპულიზმი მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერიოს ენაში, როდესაც რომელიმე საგნის ცნება არ მოიპოვება სალიტერატურო ენაში. იმას ესლას ველანკინიტუვის, რომ, ვთქვათ რომელიმე პრინციპულიზმი კილო განდეს საზოგადოთ ქართულთ სალიტერატურო ენად. ესლას, როდესაც ჩვენს მწერლობაში არსებობის უფლება დარჩა საქართველოს შუაგულის ენას, როდესაც მას აქვს გამორკვეული და ყველასგან მიღებული ძირითადობა, — ესლას გვიან-დაა მუცადინება გამორკვეულთ იგი რომელიმე სხვა პრინციპულიზმი კილოთი. ამით მე ის კი არ მინდა შევნიშნო «ნობათის», ვითომც მისი განზრახვა იმერული ენა სალიტერატურო ენად გადააქციოს. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ უადგილო პრინციპულიზმებით ფუჭდება ენა და თითონ ყურნალიც ამით იშობს საშუალებას — ჰქონდეს გარკვეული გზა არა მარტო ერ-

თის კუთხის ბავშვებისათვის, არამედ მთლად ქართველ ემანციპაციებისათვის.

*
**
*

ეს არის ყურნაღის საზოგადო სკოლა და კარგი. ჩვენ გვინდოდა ამ საზოგადო თვისებაზედ გაგვეწყოთ სიტყვა, მაგრამ გულმა არ მოგვითმინა, რომ ცოტაოდენი კერძო შენიშვნებიც არ მიგვეცა ახლად დახადებულის თანამომძისათვის, მით მოძებნებულად, რომ შენიშვნებით არა დაშავდება-რა და, იქნება, შემდგომისთვის გამოადგეს კიდევ ყურნაღს, თუ იგი იქონებს მათ სახეში.

ჩვენ გვინდა მივაქციოთ მკითხველების ყურადღება ნამეტნავად ბბ. რევიშვილის, მოხსუბარძის და გ. წერეთლის ნაწერებს «ნობათში», რადგან ამ ნაწერებს სხვებზე უფრო მნიშვნელობას ვაძლევთ ბავშვებისათვის. ბ. რევიშვილის «მოგონება» სწორედ კარგი ნიმუშია იმისი, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ბავშვებისათვის საინტერესო ამბები. მისი «კაკანათი» წარმოგიდგენთ უბრალო სურათს, უბრალო ენით დაწერილს, და ახა სწორედ ამ «უბრალოობაშია» კიდევ მისი ღირსება. ბ. რევიშვილის ნაწერი ერთხმად ყველას მოეწონა, იმიტომ კი არა, რომ იქ მართლაც მოიხვედრება რამე ძირითადი ღირსება, არამედ იმიტომ, რომ იქ ვერა ვნახეთ ის ნაკლულებანები, რომელნიც აქამდის არ ასცდენია თითქმის არც ერთს საყმაწვილოდ შედგენილს ამბავს, ანუ ზღაპარსა და მოთხრობას: იქ არ არის მრავალ-სიტყვაობა, ბავშვის ტვინის დაძალება, გაზვიადებული ჩიხინი, რომლითაც ასე ღონდება ხოლმე საზოგადო ემანციპატი. რა კი ბ. რევიშვილის «მოგონებაში» ვერა ვნახეთ ეს საყურველთა და ჩვეული ნაკლი, აქედამ მოელო ჩვენი სიმშატის მივაზყარით ამ პატარა ნაწერს. მაგრამ სიმშატის

კი სიმპტომად დაჩიეს, და ჩვენ კი უნდა ვსთქვათ მაინცა, რომ არა მარტო საყმაწვილო, არამედ მოზრდილი მკითხველისათვისაც დაწერილი მოთხრობა ვერ წავა შორს, თუ იგი მოკლებულია ზომიერს ტანტაზის. ტანტაზის თამაში ძვირფასი და მიმზიდავი რამ ელემენტია მოთხრობაში. რასაკვირველია, ტანტაზია არ უნდა ჰქონდებოდეს რეალურს მოკლებულთა. ამ შემთხვევაში, რამდენადაც ბ. რევიშვილი უკანა დგას, იმდენად შესანიშნავია ბ. მოჩხუბარიძე თავის მშვენიერს, მაღხაფსა და ლამაზ მოთხრობაში, რომელსაც სახელად ჰქვია «მტრული.» ამ პატარა მოთხრობაში დაცულია ყოველ-გვარი ღირსება ხელმოკლულად შედგენილის ამბისა, თავის უმთავრესი ინტერესით, თავის დრამატუზმით. ტემა საბავშვოა. თითონ სურათი ლაზარეთიანი. მაგრამ ერთი ცოდვა მაინც ამ მოთხრობასაც გამოჰყოფია თანა. ეს ცოდვა გახლავთ — ნამეტანი გძელი წინადადებანი, ასე რომ ყმაწვილი ვერ შესძლეს მთელს პერიოდების აკრეფას, რომ აზრიდამ აზრზედ გადავიდეს. მაგრამ ამ ნაკლებუკანების მიუხედავად, ბ. მოჩხუბარიძეს შეეძინა ესმის ყმაწვილის გულის პასუხები, იცის, რითი და რაგორ აათამაშოს მისი გულის სიმები, მოქცევაც თავის «პატარა მეგობრებთან», მკითხველებთან, სწორედ მოსაწონი აქვს, და აქედან უნდა გვქონდეს იმედი, რომ ბ. მოჩხუბარიძე, როგორც დახელოვნებული და ნიჭიერი ტალანტი, მოუკვამ ნახვენებ ნაკლებუკანებს და არ მოაკლებს ქართულს ბავშვებს ნამდვილს მეგობრობას თავისი კადმით. ბ. მოჩხუბარიძეს შეუძლიან, ცოტა მეცადინეობით, მართლაც ძვირფასი და საყვარელი მწერალი გახდეს ჩვენი პატარა მკითხველებისათვისაც.

«ლომ-კაცი» ბ. გ. წერეთლისა ჯერ არ გათავკებულა. ამიტომ ძნელია ითქვას რამ გადაჭრილი სიტყვა მასზე. მხო-

ჯერ, რაც დაბეჭდილია აქამდის, იქიდგანა სჩანს, რომ ავტორს აუღია თავის ტემად ერთი იმ ფლავრებთან, რომელნიც შეადგენენ ჩვენის ხალხის სულის საჩხოს, მის ორიგინალურ ნაწარმოებს და რომელთაც ქართული ხალხი, დიდდამ პატარამდის, გულის-ძგერით ისმენს ხოლმე. ასეთი ფლავრების ბეჭედა სწორედ აუცილებელია საუმაწვალე უზრუნავისთვის. ამ ფლავრებიდამა სჩანს, თუ სადამდის მიდის ჩვენის ხალხის ხშირად ნაზი და მდიდარი ტანტარია, მისი პოეტური ნაკადობა. ამ შემთხვევაში, ბ. გ. წერეთელს ვაი სამსახური გაუწეია ნორჩი «ნობათისთვის». მაგრამ ის ვი არაფრად მოსაწონი გახლავთ, რომ ეს მშვენიერი პოეზია, რომელიც მოწებებს თვით ფლავრის შინაარსიდგან, დამახინჯებულა და მისუსტებულა ფლავრის გაფქვავით. ლექსი მაშინ არის კარგი, როდესაც მოკლედ და უფრო ნათლად, ლამაზად გადმოხტემს საგანს. პოეტურს სიუჟეტს ასეთი ლექსი უფრო უმატებს პოეზიას. მაგრამ თუ ლექსს აკლავ ხსენებულ თვისებას, მაშინ ის უფრო აფუჭებს საქმეს. ამიტომ, სანახურად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ქართული ენის ლაზათიანად მცოდნე ავტორს პრემიით არ დაუწერია თავისი ფლავრი. ბ. გ. წერეთელის კალმის ქვეშ, «ლომ-გატი» მართლაც ვაი რამ საკითხავი იქნებოდა ბავშვებისათვის. ეხლა ვი არამც თუ ბავშვებს, დიდებსაც გაუძნელებათ მისი კითხვა, რადგან ლექსი მეტად მძიმე და ძნელი მოსახელებელია.

* * *

ისტორიულსა და გეოგრაფიულ წერილებზედ არა ითქმის რა მაგდენი, არც კარგი და არც ავი. სასურველია, რომ თუ ცოტა ოდენი ნიჭით არა, დალაგებითა და მოხერხებულ ენით მაინც იწერებოდნენ ხოლმე ამისთანა სამეცნიერო საგნები,

აი თუნდა იმ გვარად, როგორც ბ. მალარეჯის ენა და გალმის მისვრა-მოხვრასა. მიწერ-მოწერით გეოგრაფიის გაცნობა ჩინებულად აზრია. მაგრამ ძალიან უნდა ეცადოს რედაქცია, რომ წერილებში სასარგო რამ ელემენტი შეიტანოს. ამით, რაკითითონ ამბავი მიიზიდავს ყმაწვილის ყურადღებას, მაშინ თითო-ოროლა სამეცნიერო ცნობაც ისე შეეთვისება მას, ვერც კი გაიგოს. და თუ, როგორც ეხლა—უბრალო და უინტერესო კონტენტია, წერილები გეოგრაფიული ტერმინებით იქნებიან აჭრელებულნი, თითქმის უნაყოფოდ ჩაივლის რედაქციის შრომა.

ბოლოს, არ შეგვიძლიან, ორიოდ სიტყვა არა ვსთქვათ ბ. ცასელის ხალხურ ლექსდაზე, სახელად «მარინე». ეს ლექსი ეკუთვნის, ჩვენდა სასიხარულოდ, ნორჩს და ახალ-გაზდა პეტეს, რომლისთვისაც ჩვენ ვისურვებთ გაფურჩქვნას, აყვავებას და გაშლას. ლექსი ყმაწვილებისთვის არ არის დაწერილი. მაგრამ საჭმე ამასში არ გახლავთ. მე ვამბობ, რომ «მარინე» მშვენივრად, სურათულად იწყობა. შესანიშნავი და ნიჭიერის ბუნების აღწერა, წარჩინებული და უძალიადოა ლექსი; მაგრამ ეს არის, რომ ბოლო არ ეთანაბრება დასაწყისს. თავში სურათები გიტკობენ გულსა. ბოლოს კი აკტორმა, დედის პირით, სურათების მაგერ, საზოგადო ღიქსებზე გადაუხვია. ჯერ კი შთაბეჭდილება თანდის-თან იზრდებოდა, გვეგონა, ბოლომდის გაატანს აკტორი: უცებ, შუა წელში მისუსტდა ეს შთაბეჭდილება. ბოლოში რაღაც დაუფურცელი ტრახახობა გამოვიდა. კარგი იქნებოდა, რომ ბ. ცასელს კვლავ მომეტებულ სიტუაციას გაშეჩინა თავის მშვენიერის ნიჭის წარმოებაში.

კათაკობთ შენიშვნას, და კისურკობთ, რომ «ნობათს»
შეესრულებინოს თავისი წმინდა მოკვალეობა სასოგადოებისადმი
და უკანასკნელსაც «ნობათისადმი».

სტ. ჭრ— შეილი.

შინაური მიმოხილვის მაგიერი

მიუიხედ-მოვიხედოთ.—ახირებული ბედი.—რა მიზეზია.—საა-
გენცოები და ცენტრალიზაცია.—ამაო ქებნა და დიდი ვითარება.
—მხნენი და მარჯვენი არა ხართო.—თითოეულნი და თითოეულთ
კრებაა მიზეზიო.—ჩვენი სკოლა.—ჩვენი მწერლობა და მეტყვე-
ლება.—200 ან 400 მკითხველი გაზეთისა ან ჟურნალისა.—მწერ-
ლობა დიდი აუდიტორიაა.—ავილოთ მაგალითი.—თეატრს რაღა
უშლის.—თეატრი ომარ-ხნობის დროს.—უწინ ასე იყო და დღეს
ასეა.—წინ-სვლა და წარმატება ეს არის.—რეპერტუარი და უწინ-
დელის თეატრის შემაჯიანე.—ნათარგმნი და გადმოკეთებული პიე-
სები და ვოდევილები.—დედა-აზრს არ ვადგევართ.—იგივ დიდო
მიზეზი და საერთო ვითარება.—ენლანდელის თეატრის დასი —
წარმოდგენა 22 იანვარს.—თეატრის ხელმძღვანელი.—ჩებელების
თეატრი.

წელიწადი გავიდა და ჩვეულებისამებრ არ იქნებოდა ურიგო
მიგვეხედ-მოგვეხედა, ჩვენი საზოგადო საჭმეებისათვის თვალი
გადაგვეკლო, და მათი მსკლელობა კვლავ გაგვეშინჯა, შეგვეტყო,
გაძლებენ ვიდევ 1884 წლის განმავლობაში თუ არა? აი, მაგა-
ლითად თეატრი, რომელიც წარმოდგენს ხალხის განათლების
სახუთს; მწერლობა, რომელიც დაცემულს ენას თებსედ აყენებს
ხალძე ხშირად, ჩვენებური საზოგადოებრივი დაწესებულებანი,
სხვა-და-სხვა საზოგადოებანი, რომელთაც აზრად აქვთ ეროვნუ-
ლი ცნობიერობა განავითარონ, განამტკიცონ და სხვ. და სხვ.

სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ, რომ ყველა ეს ნიშნები
ახირებულის ბედისანი არიან. არც ერთს მათგანს არა

აქეს სიმტკიცე და მკვიდრი საფუძველი. რაც გინდა აი-
ღო, რომელი მხარეც გსურთ ჩვენის გონებრივის და ხორციე-
ლის აწსებობისა — უკუაგან შესვლით ერთ-გვარს მოკლენას:
სუბუქად დაწებულს საქმეს, უღლო დაწესებულებას, ალალ
ბეზედ აგებულს წესს. მე ვამბობ კერძოდ ჩვენს ცხოვრება-
ზედ, კერძოდ ჩვენ მიერ დაწებულს საქმეზედ, ჩვენგან წარ-
მოებულს დაწესებულებაზედ. რასაც დავიწებთ — გაგრძელებას
აღარ ეძლევა, რაც შევიძინეთ წინად, დღეს უეცრივ ხელიდამ
გვეცლება,

ტყუილია აქ იმას დავდგით ბრალი, რომ ჩვენს დაწესე-
ბულებას, ეს არის თუ ისა, სააგენტოები არა აქვს დააწესებულნი,
რომელთაც უნდა გამოათხიზლონ ქვეყანა (თითქო ეს ასე
ადვილია), ტყუილად მოვიძიებებთ ცენტრალიზაციას და
ბიუროკრატიულს წესს დავდებთ ბრალს, შენ რომ არ გარე-
უღიყავ ამ და ამ ჩვენ საქმეშიო, ჩვენ ეს არ დავგეძმართე-
ბოდანო, ჩვენი საზოგადო საქმეები აღჩუს იჯდებოდნენო და
სხვ. და სხვ. ამ გვარად, სურათულად და ფერადად დახატუ-
ლი კონტურები ბედნიერის მოძაგლისა.

ამ გვარს უზრინციზო მსჯელობას, მიზეზების ძებნის
დროს, მოჭყვას ის შედეგი, რომ ცენტრალიზაცია და თვით-
მართველობა, ისტორიული ფაქტები და მათი განმარტება სულ
ერთიანად არ-დაირია. ამასზედ «იუკრიას» ვრცლად ჰქონდა და-
ხარაგი წარსულის წლის მე-11 წიგნში და ახლაც აქ ბევრს არ
გამოკუდგებით, თუნდაც რომ გამოკუდგეთ, ვინ გვიყაბულებს.

ტყუილად კუსაყვადურებთ აგრეთვე ჩვენ თავს, მხნენი და
მარჯვენი არა ვართო, ტყუილად დავდებთ ბრალს ჩვენის გა-
ნადაგებისას რომელსამე ზირთ კრებას, რომელსამე წრეს, და-
წესებულებას, სკოლას თუ მწერლობას, სამართალი თუ ადმი-

ნისტრაცია და სხვ. და სხვ. უკლას ესეები, რაც ჩამოვთვალეთ შედეგია ამ ძრიელად წარმოებულის საერთო ვითარებისა, საზოგადო ატმოსფერისა.

ათსა და რცხ მავალითში ჩვენ მხოლოდ ერთს მოვიუყვანთ. ეს ერთიც საკმაოდ იქნება, რომ ჩვენის აზრის სიმართლე დამტკიცდეს. ჩვენ არ შევეხებით აქ, არც საზოგადოდ, სკოლას, რომელიც ეხლას სწავრობს. . . . არას ვიტყვით აგრეთვე ჩვენს მწერლობაზედ, ქართულს ენასა და მეტყუელებაზედ. როგორც ერთის, ისე მეორისა და მესამის განვითარება უნახავს ჩვენს ქვეყანას; უნახავს მაშინაც კი, როცა ყოველმხრივ შესუთული იყო ჩვენი ცხოვრება გარეშე მტრისა და მძარცველებისაგან, როცა მხოლოდ სავაგლახო და სავალალო პირობათა-შორის სწავრობდა.

და თუ ეხლას მხოლოდ ის ცვლილება დაეტყო ჩვენს მწერლობას და მეტყუელებას, რასაც დრო და ვითარება, ეს ჩვენი ეხლანდელი დრო და ვითარება მოითხოვდა, თორემ სხვა თვრივ იგი დიდს არას არ წარმოადგენს. ის ჯერ კიდევ მტკიცე საჭიროებას არ შეადგენს ერისას, თესვადგომული არ არის ცხოვრებაში. ცხოვრება მას არ ჰქვება და იგი ცხოვრებას. მხოლოდ რამდენთამე თავ-გამოდებით არსებობს, ღონილილობს. ეს რამდენიმენი წელებზედ თებს იდგამენ, ყოველის მსხვერპლისთვის გამზადებულნი არიან, თუ გონებრივ და ზნეობრივისა და თუ ნივთიერის და ქონებრივის მსხვერპლისათვის. და ან კი ვინ არ იცის, რა მდგომარეობაშია ჩვენი მწერლობა, ვისთვის შეადგენს საიდუმლოს მისი მდგომარეობის ვითარება, მისი ძალა, მისი სიღრმე და სიგანე. სულ ასი ან ორასი, ბევრი-ბევრი ოთხასი მკითხველი, გაზეთისა და ყურნალისა! აი შედეგი და ნაყოფი მწერლობა-

ბის გამუდმებულის მოღვაწეობისა თითქმის 1830 წლებიდან დაწყებული ვიდრე ჩვენ დრომდე.

მწერლობას რაღა აწოდებს ძალას, რა უკარგავს მნიშვნელობას? მწერლობას, ამ დიდს სკოლას, რომლის აუდიტორიად მთელი საქართველოა, რომელიც ერთსა-და-იმასვე დროს, ერთსა-და-იმასვე სწავთს, ასსა და ორ-ასს ერთად ელახანაკება, ელახადება, ამხიარულებს, ატირებს.

ამ გუარის ცხოველის თილისმის მნიშვნელობა მანც რაღამ გააქარწყულა. მიღობნზე მეტმა ქართველობამ რით ვერ გამომჯობება, ვერ ასაწრდოვა გონებრივ და ნივთიერად თავისი ღვიძლი მწერლობა, ან ამ მწერლობამ რაგორ ვერ დააკმაყოფილა თავისი ღვიძლი ქვეყანა, რით ვერ შეუთვისდა მას, რით ვერ გაუერთგულდა, რით ვერ მიხვდა მის გულის ცემას.

მაგრამ ავიღოთ მაგალითი. ავიღოთ თეატრი. თეატრს რაღამ დაუშალა აღორძინება. თეატრი ხომ ხელმოკლების მსახურებელია. წმინდა ხელმოკლება, ესტეტიური დატკობა საზოგადოებისა — გაკეთილ-შობილება თეატრში მოსიარულე ხალხის გრძნობათა, ზნეთა და ჩვეულებათა განწმენდა, გასუფთავება, გაფაჭიზება. განა ამაში რაღა არის სადავიდარსბო, სრულიად არაფერი.

მაგრამ წარმოიდგინეთ, რამ ჩვენი თეატრი, თუმცა 34 წელიწადია მას აქეთ, რაც იგი გაჩნდა ჩვენ ცოდვილ ქვეყანაში, გაჩნდა და გაიფურჩქნა კიდევ, ბეჭდურ დიდი იმედებიც ვაგვიღვიძა, დიდადაც დაგვატკობ, სხვათერვისაც ძრეულ ვაკვამხნევა... დღეს-გი ძლივს მიღობნდილობს, ძლივს სუფს იბრუნებს, ძლივს ფეთქავს სიცოცხლის ძალას თითქმის სრულიად მოკლებული, ცხოველება დაკარგული.

სულ გუშინ თუ გუშინ-წინ, ჩვენვე იმავე მარჯვენით, იმა-

ვე კალბით, რომელითაც დღესაც ვწერთ და რომელიც ჯერ არ
გაცვეთილა, — ვწერდით, რომ თეატრის საჭმე თითქმის ფეხ-
ზედ არის დამდგარი, ნიჭიერი მოთამაშე სათეატრო დასში
ბევრი უჩველია, რეპერტუარი თუძცა ღარიბია, მაინც ზოგი
ისეთი პიესა უჩვეია ამ ღარიბ რეპერტუარში და ისეთის
ანსამბლით ითამაშება, რომ უწმუნოს წმენას გაუღვიძებს და
თეატრის ბედს ეჭვ-ჭკეშ არ დაუყენებს.

ახლა-ღა? ვწითლდებით და ვუკითხვდებით გუშინდელის
ჩვენის ნათქვამისათვის. რა თეატრი, რა დასი! აღარც თეატრის
სადმე, აღარც რეპერტუარი ჩანს, აღარც ერთი ნიჭიერი მო-
თამაშეთაგანი, რომელიც აღზარდა ჩვენმა სცენამ. აღარც ერთი,
აღარც მერე.

უწინ, ომარ-ნნობის დროს, ჩვენში თეატრი დაარსდა,
დასი შესდგა, რეპერტუარი გაჩნდა, ნიჭიერი მოთამაშეები გა-
მოჩნდნენ. სალხი თანაგრძნობით მიუგება წარმოდგენებს, მო-
თამაშეებს. ამ თეატრის დაარსების თანამედროვე თ. მიხეილ
თუძანიშვილი ამბობს, რომ კიტხვა და კილვა, ძაგება და გიუ-
ბა მოთამაშეთა პირ-აკრული შეიქმნა, მსჯავრი კრიტიკისა შე-
სდგა და გაჩუმიდა ამ ახალ სცენის მოღვაწეთა წინაშე. და
როდის იყო ეს? — ომარ-ნნობის დროსა მეთქი, 1850 წლებ-
ში, ამ 34 წლის წინად, ბატონ-უმობის დროს, როცა ქალაქ-
ში 100,000 მცხოვრებლის მაგივრად 20,000 ძლივს იყო,
აღექსანდროვის ბაღის იქით — ერთი სახლი აღარ მოიძებნებო-
და, თვით აღექსანდროვის ბაღის ერთი ნაწილი გაოხრებული
ყაზახი იყო, ხოლო მერე — სასათუჯაო.

მემატრიანე გაკვირვებულია ამ გვარის თეატრის წარმატე-
ბით იმ დროს. მაგრამ მემატრიანეს ფიქრადაც არ მოსულია
მაშინ, რომ ეს წარმატება იყო მხოლოდ წუთიერი წარმატება,

რომ დიდი რამ მიზეზი ამასაც ბოლოს მოუღებდა.

«მარტო მხოლოდ ეს გარემოება, და მარტო მხოლოდ ეს გარემოება ცხადად ამტკიცებს, ამბობს იგივე თანამედროვე, რა შეუძლიან აქაურს კაცს; აქაურს ჭკუა გონებას, რა გვაქვს შეუძლიან აქაურს ბუნებას ყოველივე მაღალი აზრი, გრძნობა, დაწყობილება შეითვისოს, შეიგნოს.»

ჩვენი საზივარი და სატირულიც კი არის, რომ ყოველგვარი წარმატება შეუკვიდრიან და ვერ ვახერხებთ.

დახ, უწინ ისე ყოფილა და დღეს კი ასეა. ეს განა წარმატებასა საქმისა, ეს განა წინ-მსვლელობასა ქვეყნისა? ეს განა იმასა ნიშნავს, რომ გუშინ დაწყებული ჩვენი საქმე, დღეს განვაგრძეთ, და ხვალ, იმედი გვაქვს, უფრო განათლებული და მკვიდრად ფეხ-მოკიდებული გადავკეთო მოძალადე თაობას?!
 მართალია, თეატრის საქმეში ბევრი და ბევრი რამ შეიძლება გადაგვეჩინა გახრწნასა და წაბიწვისაგან, ბევრი რამ შეიძლება უკედ დაწყობილიყო, მაგრამ ვერ დავაწყეთ, ავიღოთ თუნდ ერთი დიდი ნაკლი ჩვენის თეატრისა, რომელსაც იგი ამ რჩის წლის წინად ვარდივით იფურჩქნებოდა, ღვიოდა და გაიძეობდა. ეს ნაკლი იყო — ცუდი მოხმარება და ცუდად შედგენა სათეატრო რეპერტუარისა.

როცა თეატრი პირველად დაარსდა, აი რას ამბობდა ამ საგანზედ მაშინდელი თეატრის მემკვიდრე, ანუ მისი ჰვან-ჩავანის კარგი მცოდნე, იგივე მის. თუმანიშვილი.

«ყველასთვის ცხადია, რომ რეპერტუარია თავ-და-პირველი საფუძველი ყველაფრისა. მასზედ არის დაფუძნებული დასის წარმატებაცა და განვითარებაცა და მასზედვეა დამოკიდებული ის ურთიერთობა, რომელიც არსდება თეატრსა და სათეატრო საზოგადოების შორის...»

ამ რეპერტუარს მემატიანე აქცევს დიდს ყურადღებას, დიდს უზიარტესობას აძლევს პიესებს მკვიდრთა ცხოვრებიდან დაწერილებს და ჭგონებს, რომ ქართულთ ცხოვრება, რომელსაც უნდა გამოჰხატავდეს ქართული თეატრი, იმდენ ბევრგვარ თავისებურებით და ღრმად საინტერესო ორიგინალურობით არის სავსე, ქართული იმდენად მოხერხებულია და ისეთი საოხუნჯო და სახუმარო გილო აქვს, თვით ქართული გადის ჭკუა-გონება ისეთი ძალა-დაუტანებელის ქილიკობით და იუმორით არის სავსე—რომ ყველა ეს შესაძლებელად ხდის მთელი კომიკურის რეპერტუარის შექმნას... მის. თუმანიშვილი წინააღმდეგია, რომ რუსულის ან ევროპიულის ცხოვრებიდან აღებული შინაარსი და სიუჟეტები ქართულ თეატრს შეუთვალსონ. ქართულ სცენას არ შეუთვალსონ არც იქაური ზნეი და ჩვეულებანი, არც იქაური სასცენო ინტრიგები, დიდად განსხვავებული იქაურ ზნესა და ჩვეულებათაგან, არც იქაური მახვილობა და გამოხატულებანი, სრულიად შეუთვარებელი ქართულის ენი ვითარებისაო.

«... იქაურნი მოთეატრენი, სახელდობრ, ის საზოგადოება, რომლისათვისაც თეატრი არის დაფუძნებული—განაგრძობს იგი—ვერ გაიგებენ ვერაფერს ამებისას, იმათი სმენა ყრუდ დარჩება ყოველის ხმისათვის, თუნდ იგი ხმა გამოხატული იყოს დედა-ენის შემწეობითაო, თვალნი არ დაუწყებენ ჭკრეტას უცხო სურათისაო; მხოლოდ მაშინ თუ მოკლენ თეატრში წარმოდგენის საცქერლად, როცა ყოველივე ეს გადმოღებული იქნება არა თუ მარტო მოქმედთ პირთ გარეგანობის მიხედვით და იქაურ ადგილის შეთვრებით, არამედ როდესაც სრულიად გადმოხალისდება, გადმოქართულდება რომელიმე პიე-

სა და შეეფარდება აქაურს ამბებს, აქაურს ზნესა და ჩვეულებას, აქაურს იუმორსაც... .

ჩვენ საჭიროდ ვსთვლით ადგილობრივის სადრამო შინაარსის შემუშავებას მივსჯებით უმთავრესი ყურადღება, იმიტომ რომ ჩვენმა ნორმმა რეპერტუარმა არ გადუხვიოს იმიტომ, რომელსაც ესაა ადგა; იმიტომ რომ თუ ესაა ორიგინალურის ჰიესების უქონლობისა გამო სხვა მეტი ღონე არ არის, თუ არ თარგმნა კოდეცილებისა, შემდეგისთვის მაინც ფესვი არ გაიდგას ამ ჩვეულებამაც; და რომ თუ მაინც და მაინც თარგმნას არ დავიშლით, ეს ნათარგმნები სრულად გადმოქართულდეს მაინცა ხელმეო. უნდა ვისურვოთ, რომ კოდეცილები არ შეეთვისოს ჩვენს ახლად დახადებულს სტენას და ისეთი ვნება არ შეგვიღვინას, რომლის აცილება ბოლოს ძნელია და იქნებაო. უნდა გავუფრთხილდეთ ენასაც, აქტიორებსაც, საზოგადოებასაც და მეტადრე საზოგადოებას, რომელიც ასეთის ხდობით შეჭურვებს ახალს ქმნილებას, ახალს სანახავს სარგებლობისა და ესტეტიურის გამყოფილებისასაც.

თითქო გუშინ დაუწერიათ ეს სტრიქონებიო, ისე შეეფარება დღესაც ეს ნაწერი ჩვენის თეატრის დღევანდელს მდგომარეობას. სწორედ წინასწარმეტყველობაა ამ გვარის აზრის წარმოთქმა ბ-ნის მ. თუმანიშვილის მიერ! დღეს ყველა ესედავთ მის აზრების სიმართლეს, დღეს ყველა ესედავთ, რომ მისი შიში უადგილო შიში არა ყოფილა. ჩვენ სრულებით ნაკლებად ვაქცევდით ყურადღებას რეპერტუარს და მეტადრე იმ მხრით, რა მხრითაც თუმანიშვილი ამ ოც-და-თორმეტის წლის წინად უჩივდა საზოგადოებას და თეატრის მმართველთ ყურადღება მიუქციათ. ჩვენ ავასეთ ჩვენი რეპერტუარი სხვა-და-სხვა ჰიესების ჰირ-და-ჰირის თარგმანებით, ან ისეთის გადმოკეთებუ-

ჯის პიესებით, რომ ისეუკ პირდაპირი გადმოთარგმნა ემჯობინებოდა იმ გვარ გადმოკეთებას. ჩვენ ავიკეთით ჩვენი სტენა ათას სხვა-და-სხვა კოდვილებით ჭამ მხრივ არ დაგზოგეთ არც ენა, არც აქტიორები, არც საზოგადოება და მეტადრე საზოგადოება, რომელსაც მოსწყინდა ათასი უნიჭოდ დაწყვილის პიესების თარგმანები და გადმოკეთებულების მაგიერ დამახინჯებული კოდვილები. საზოგადოებაც გაგულ-გრილდა და, როცა ამ მიზეზებით თეატრის არსებობის საფუძველი შეიწყა, ერთი ალიაქოთი აუტეხეთ და მიზეზი, ახლო მიზეზი კი ვერ გამოკუძებნეთ ამ მოკლენას. ხან აქტიორებსვე დაკდეთ ბრალი, ხან საზოგადოების გულ-გრილობას, ხან სათეატრო პუბლიკის და საზოგადოთ ქართულობის სიცოტაკეს თბილისში და სხვ. და სხვ. რასაკვირველია, ეს მიზეზებიც მოქმედობდენ და მათის წყალობით თეატრის მდგომარეობა უფრო უარესი შექმნა, მაგრამ აქ მძლავრი მიზეზი რეპერტუარის უხეირო მოსმარება იყო, რეპერტუარის უყურადღებოთ დატოვება განხლდათ. თუმანიშვილისა არ იყოს, ჩვენ არც ენა დაგზოგეთ ქართული, არც აქტიორები და არც საზოგადოება შეკობრალეთ და აი ყველა ამის ნაყოფს ვიძვით.

რად მიიღო დიდის სიამოვნებით და აღტაცებით ჩვენმა სათეატრო საზოგადოებამ ნიჭიერად გადმოქართულებული დრამა «სამშობლო» საჩდუსი დ. კრისტვისაგან. რად მიიღო ასეთისავე აღტაცებით «ბიძიასთან გამახუმრება» რ. კრისტვის მიერ ისეთის შესანიშნავის ხელკონობით გადმოკეთებული, ჩვენ ცხოვრებასთან შეფერებულად გადმოღებული კოდვილი. ერთმაც და მეორემაც ცხადად დაგვანახვა, რომ თეატრი უზირველესად ყოვლისა კრკონული დაწყებულება უნდა იყოს, რომ კრკონობას თეატრისას როგორც ენა, ისე ში-

ნახარსი, სიუჟეტი, მოქმედნი პირობი, მათი ზნე და ჩვეულებანი უნდა მტკიცედ იცავდენ. მაგრამ ერთი და ორი მაგალითი რამოსატანია აქა. როგორც ერთის მერცხლის ჭიკჭიკმა გაზაფხული ვერ მოიყვანა, ისე ერთისა და ორის სწორედ ეროვნულის პიესით, ეროვნული თეატრი, ანუ უკედ ესთქვათ, — რეპერტუარი ვერ შეიქმნებოდა. და რატომ ბევრი არ გამოჩნდა ამ გვარი პიესები? რად მოხდა, რომ ათი და ოცი უხეირო-რუსული პიესა იმავე სამშობლოს გადმოქართულებულმა, ისეთის უხეირო გადმოკეთებით, გადმოკეთებითაც კი არა, პირდაპირის გადმოთარგმნით, შესძღვნა ჩვენს რეპერტუარს, ჩვენს თეატრს. ეს პიესები რომ საზოგადო საკაცობრივო მნიშვნელობისანი იყვნენ, როგორც გამოჩენილის შექსპირის პიესები, ან მოლიერის, შილერის და გიორგის პიესებია, კიდევ ჭო, ჭო, მათი გადმოკეთება და არა პირდაპირ გადმოთარგმნა ცოდვაც იქნებოდა, და არა ღვაწლი ეროვნულის თეატრის წინაშე; თორემ ისეთის პიესების პირდაპირი თარგმნა, ან უხეირო-გადმოკეთება, როგორებიც არის, «კეთილი და უმანკო ანგელოზი», «სადაკო მთელიულობა», «სამაგელი», «ოქლანო და ჯეკი», «გეო, მინას და კამპანია» რის მაქნისები არიან, რის მასწავლებელი ან ვისი დამატებელი.

ეს მოხდა, ხდება და ბევრჯერ მოხდება კიდევ, იმიტომ რომ ჩვენ არ გვინდა, რომ ყოველივე ჩვენი მოქმედება, შრომა ერთს დედა-აზრზე დაკამყაროთ, რომ ჩვენი მოღვაწეობა რომელსამე სისტემას, გზას მისდევდეს, მიმართულებას წარმოადგენდეს. ამიტომ არის, რომ დღეს განცალკევებული ვართ და ყველა გამარტოებით მუშაობს. კაკშირი, ერთიანობა, თანხმობა არ არის. ერთის დაწყება მეორეს არ ეყურება, რაც მამამ და პაპამ მოიღვაწა, შვილი ყურს აღარ უბრუნებს. რაც გა-

მოცდილებას უნდა ესწავლებინა ჩვენთვის, ის დაფიქრების ღირსათაც არ მაგვარჩნია. ახა მითხარით, ამ პირობათა შორის შეიძლება რამ ერეკნული დაწესებულება შეიქმნას, რამ საერთო დაწესებულება მოხერხდეს!?

და რამ გაგვაცალკევას ასე, რამ დაგვაშორა ერთმანერთს, რა ჭეუპავს ყოველს ჩვენს საზოგადო საქმეს, რა უთხრის მას ძირს?—იგივე დიდი მიზეზი, იგივე საერთო ვითარება.

ამ გვარად შესდგა რეპერტუარი, თითქმის ყოველსავე სისტემის გარეშე და სახატოთ ალაგი დაიჭირეს ზოგიერთმა ისეთმა პიესებმა და კომედიებმა, რომელნიც სრულიად განსაღებენი იყვნენ რეპერტუარიდამ და სტენიდამ. ჩვენ ხელთ არა გვაქვს სია ქართულის პიესების რეპერტუარისა, თორემ შეგვეძლო რაღაც და რამეცა პიესა დაგვესახელებინა ისეთი, რომელნიც ყოველგვარს ღირსებას მოკლებულნი არიან, როგორც სტენიკურს, ისე მხატვრობითისას, როგორც აზრსა, ისე იდეას და გონიერულ შინაარსს. კომედიებისაგან ხომ სულის დგმა აღარ იყო. ეს «დატრიალდა ჯარალ», «ჩკინის კზის ვაკონშიო», «ჭაკოსტატი», «გულმა იგრძნო», «რატომ არ მოდის», «ნაპერწყალი», «სტუდენტების ცხვრებიდამალ», «დილა ქორწილის შემდეგ», «დილა ქორწილის წინად», «სალამო ქორწილის წინად», «სალამო...» და სხვ. და სხვ. ამისთანა თვით მახინჯნი და გადმოთარგმნით და გადმოკეთებით უარესად დამახინჯებულნი კომედიები!

უარგისა რეპერტუარს გარდა, როგორც მოვიხსენეთ, სხვა წიკრილი მიზეზებიც ზედ დაერთო და თეატრის მდგომარეობა ისეთი სამწუხარო შეიქნა, რომ დღეს თეატრის არსებობა ყველას საეჭვოდ გვაქვს გამხდარი. საუკეთესო და ნიჭიერი მოთამაშენი მოშორდენ თეატრს. ცუდად წარმოებუ-

ლის თეატრის საქმემ დაჭბადა საზოგადოების გულ-გრილობა: და დღეს მხლელად მცირეოდენი მისი ნაწილი-და დაიარება თეატრში, სადაც კმაყოფილების მაგივრად, მხლელად უკმაყოფილებას გრძნობს.

მაგრამ ამ თეატრისთვის სამწუხარო მდგომარეობის დროსაც კი, მასშინ, როცა მას აღარ ამშვენებენ ისეთი არტისტები, როგორც კ. ყიფიანი, სათაროვისა, აბაშიძე, მესხიკვი, გაბუნია, მესხი და სხვ., თეატრი მაინც სიცოცხლის ნიშნებს სრულად მოკლებული არ არის. უწინ შეუმჩნეველნი აქტიორები და აქტრისები დღეს ცოტა არ იყოს ჩივიანად ახერხებენ თამაშობას. ახალ თეატრის მოღვაწეთა შორის, რომელნიც გამიწვია თეატრის ამ გვარმა გაჭირვებულმა მდგომარეობამ, ერთი მაინც ისეთი ნიჭით სავსე აქტიორი ურევია, რომელიც თუ ეცდება, თუ განავითარებს თავის ნიჭს შრომით და სინდისიერის მუყაითობით, შეიძლება ჩვენის სცენის შვენება შეიქნას. მეორე ახალი თეატრის მშრომელი განაჯვით ახალ-გაზდა ქალი, რომელსაც სასცენო შნობასთან, დრამატის უფლის რეჟისების შესრულების ნიჭიც მოუპოვება. მაგრამ ამ ქალს დიდი შრომა და ჯაფა უნდა, გამოცდილი ხელმძღვანელი, ქართულის ენის კარგი შესწავლა და შეთვისება, ვიდრე მისგან კარგი მოთამაშე შემუშავდებოდეს.

საკვირველია სწორედ ჩვენის თეატრის სიცოცხლე! ყოველ-გვარი საძნელო პირობა ერთად შეერთდა, რომ იგი სრულად გამქრალიყო, თუ არადა ქცეულიყო და მაინც კიდევ ამ საძნელო პირობათა შორის, თუ არადა ქვეშ, კიდევ ღვივის, კიდევ სიცოცხლის ნიშნებს იჩენს. აღზრდილ და განვითარებულ მოღვაწეთა დაუხმარებლად კიდევ იმართება წარმოდგენები და ზოგჯერ არა ურიგოდ. ასეთი იყო მაგალითად წარმოდგენა

22 იანვარს, როცა საწყისი დასი თამაშობდა «ადვოკატ მელა-
ძეს» და «გლახა-ჭრიაშვილს». პირველ პიესაში ბ. მოხუკემ
ბევრით უკეთ შესარუღა ადვოკატის როლი, ვიდრე წარსულს
დროს კ. მესხი ასრულებდა მას. კარგი იყო აგრეთვე ბ. აწუ-
რელი სომხის როლში. მეორე პიესაში თავი იჩინა მესამე
ასალმა მოთამაშემ ბ. ნებიერიძემ გლეხ-კაცის როლში. ეს
უმაწვილი კაცი სულ მეორედ გამოსულა ჩვენ სცენაზე და მას
გზავს ეტყობა, ყოველსავე ეჭვ გარეშე ნამდვილი ნიჭი თამა-
შობისა და მეტადრე გლეხ-კაცების როლებში. რაც ქართუ-
ლი თეატრი დაარსდა ამ უკანასკნელ წლებში ჯერ ისეთის სუ-
ლითა და გულთ მოთამაშე გლეხი ჩვენ არ გვინახავს, რო-
გორც იყო იმ სადამოს ბ. ნებიერიძე თ. ი. ჭავჭავაძის
«სცენებში» ბატონ-ყმობის დროიდან.

დაახ, აი ამ დროს, როცა საზოგადოებაც გაგულ-გრილ-
და, როცა ჩივიანის რეპერტუარის შედგენაზედ არაინა ჭფიჭ-
რობს, და არამც თუ ჩივიანის რეპერტუარის შედგენაზედ,
არამედ როცა ის ურიგო რეპერტუარიც, რომელიც აქამომდე
იყო, მიჩქმალული და მოტაცებულია სადღაც და ვისგანღაც, რო-
ცა თეატრის შემნახვის საზოგადოების სიმცირე ისე თვალ-
სახინჯა და ამასთან ერთად, როცა არც მთავრობა და არც ქა-
ლაქი გროშით არ ეწევა ამ საქმეს, თუცა ათი ათასობით
ინარჯება თეატრზე იქ, საცა ეს იმდენად საჭირო არც კია,
როცა ამ წიკრდამან მიზეზებთან ერთად მოქმედობს საზოგა-
დოდ ჩვენი ვითარებაც, დიდი მიზეზი ჩვენის ასეთის მდგომარ-
ეობისა, როცა დიდის შრომით და ჯათვით სცენიდგან აღზ-
დილნი და მასზედ აუკავებულნი ნიჭნი გულ-გრილად და გულ-
ჭკავად მოშორდენ მას, სცენას აღარ ემსახურებიან, სწორედ
მასშინ თეატრის საქმე ვიდევ ისე არ არის განადგურებული,

რომ მისი აღდგენა, მისი განახლება აღარ შეიძლებოდა კარგი ხელ-მძღვანელის, კარგი მმართველის შემწეობით. თვით დასი გრძნობდა, რომ მას კარგი ხელმძღვანელი ეჭირება და თვითვე სთხოვდა მათ, ვისაც შეეძლო ეტვირთა ეს საქმე, მაგრამ დღემდის მას ეს მოთავე, ეს მმართველი ვერსად აღმოუჩინა.

ამ ამიტომ ჩვენ სიხარულით მივუბრუნებთ გაზეთში ამოკითხულს სმას, რომ თეატრის წარმოებას კისრულობს ერთი ახალ-გაზდა, ამ საქმის მცოდნე კაცი. სწორედ მისწრებაა კარგი მმართველი და ხელმძღვანელი თეატრისთვის ეხლა, მაგრამ სამწუხაროდ სეზონი უკვე თავდება, დრო აღარა დარჩენილა რა და, ჩვენის აზრით, ეხლა ბევრი აღარა გარბდება რა. კისურვით, რომ მომავალში მაინც ეს საქმე კვლავ აღდგენილიყოს, და სპეციალ, სამართლით ვუთვნალი ადგილი, დაეჭიროს თეატრს სხვა ეროვნულ დაწესებულებათა შორის. ჩვენ გვწამს მის. თუ მანიშვილის აზრი, რომ ქართველთ ჭკუა-გონებას შეუძლიან შეითვისოს ცივილიზაციის ყოველ გვერდით რთული და მაღალი დაწესებულებანი, რომ თეატრი თავის მნიშვნელობით ერთი უაღრესი საღსარია ეროვნულის ცნობიერების განმტკიცებისა და განვითარებისა.

მაგრამ ამასთანავე, თუ მცა თეატრი საზოგადოების მოთხოვნილებად გარდაიქცა და მისი გაქრობა შეუძლებელია, მაგრამ მაინც ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ამ პირობათა შორის, რომელშიაც საზოგადოდ ჩვენი საქმენი ამყოფებიან, სხვათა შორის თეატრის საქმეც ვერ განვითარდება, მტკიცედ ვერ მოიკიდებს ფეხს და ვერ დაგვირგვინდება,...

ჟაფით, შრამით, ენერგიით, ამისა თუ იმის მოღვაწეობით, რომელიმე დასისა და კერძო საზოგადოების მონდო-

მიღობით საქმე კვლავ აღდგება კვლავ დაიწყოებს წარმო-
 ვობას, იქნება გადიშალოს და გადიფურჩქნოს კიდეტ, თუ-
 ტრის საქმე რეგორც იყო ამ სამის წლის წინად, მაგრამ
 იგი ჩვენის ცხოვრების შექნებას ვერ შეადგენს, სიამაყედ
 ვერ გადაქცევა, ვიდრე გზა, დღეს არ არის კარგად
 ხსნილი და განვითარებული. ჩვენ ისე ადვილად ვერ ავი-
 ტანთ სხვა-და-სხვა მიზეზებისაგან სამხელთ პირობათა
 გაკუნას, რეგორც სხვაგან იტანენ. მიღლიონები დაუ-
 ხარჯათ ჩესელებს თავიანთ ნაციონალურ თუატრის აშენება-
 ზე, გამშენიერებაზე. უკუა მხატვარმა და ხელოვანმა ხელო-
 სანმა ზედ დაასრულა თავისი ცოდნა და გამოცდილება და,
 აჭა, რეცა ჩესელებს უნდა ედღესასწაულნათ დიდის და ლამა-
 ზის ეროვნულის თუატრის დაარსება, გაჩნდა ცეცხლი და სულ
 ერთიანად გადაბუგა ჩესელების ეროვნული — თუატრი. ტირიდა
 ხალხი ამ უბედურობის დროს, ამ თავიანთის შრომით და
 ჯათით მონაღვაწეის გადაწვის დროს. ჩესელი პატრიოტები
 იწვეუნენ ხალხს ხელოვნობის ტაძრის კვლავ აგებისათვის და
 უკვე დაასრულეს ხელმეორედ ახალი თუატრი...

განცხადებანი.

—
ჟურნალი

«ივერია»

(წელიწადი მერვე)

მოძავალ 1884 წ. იანვრიდამ ჟურნალი «ივერია» გამოკვა
ყოკელ-თთვე და თთვე იმავე სახით და სივრცით, რეგორც
აქამოდე გამოდიოდს.

ხელის-მოწერა მიიღება:

რედაქციასი, რემედიც იმყოფება სიმონსონოვის ქუჩასედ
ნაზაროვის სახლებსი, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.
სადაც ზედა საართულსი «დროების» რედაქციასა და იქავ, შუა
სართულსი, რედაქცია «ივერიისა».

ქუთაისსი, ჭილაძეების წიგნის მაღაზიასი, ბუჯვართან.
ბათუმსი, «წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მა-
სწავლებელ მ. ი. ნათაძესთან,

ფასი ხელის მოწერისა:

მთელის წლით 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის—5 მან.

ქალას გარეშე მცხროვებთ ამ აღრესით უნდა დაიბარონ
ჟურნალი:

Въ Тифлисѣ, въ редакцію журнала «ИВЕРІЯ»

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალის დაბარებისა-
თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციასი.

რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე

პიილება ხელის-მოწერა
 ამ 1884 წლისათვის
«დროებაზედ»
 (წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

თელავში, ვანო როსტომაშვილთან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბუჯვართან.

ბათუმში, «წერა-გითხვის» სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

ზორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაყვითან.

ქაჯაქს გარეშე მცხროვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: **ВЪ ТИФЛИСЪ, ВЪ РЕДАКЦІЮ «ДРОЭБА».**

ფასი ხელის-მოწერისა

წლით (12 თთვით) 9 მ., 11 თთვით—8 მ. და 50 კ.
 10 თთვით—8 მ. 9 თთვით—7 მ. და 50 კ., 8 თთვით—7 მ.
 7 თთვით—6 მ. 6 თთვით 5 მ., 5 თთვით—4 მ. 50 კ., 4
 თთვით—4 მ., 3 თთვით—3 მან., 2 თთვით—2 მ., 1 თთვით
 1 მან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით — 7 მან., 6
 თთვით—4 მან., 3 თთვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მოწერის გაზეთის დაბარებისათვისა უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

გამომცემელი გ. ქართველიშვილი.

რედაქტორი ი. მაჩაბელი

1884 წ. იანვრის თვიდან ა. თბილისში

გამოცემა ყოველ-თვიური ყრმათა საკითხავი სურათებიანი
ყურნალი

ნ მ ბ ა თ ი

პედაგოგიური ნაწილის დამატებით.

მთელი წლის გამოცემა ყურნალი «ნობათი»-ს იქნება 12 წიგნი, რომელიც ზედ მიწეკნით შეადგენს 800 გვერდამდე დიდი ჭრამატისა და თითო წიგნი არა ნაკლებ 4 ბეჭდ. ფურცლისა.

ყრმათა საკითხავ წიგნისათვის საჭირო სურათები დამზადებული იქნებიან პეტერბურგში.

~~ქრისტეშობის თვეში გამოვა ნამუშად ერთი ნომერი, რომელიც უფასოდ დაუბრუნდება 1884 წლის ბელას-მომწერლებს.~~

ყრმათა საკითხავ წიგნში დაიბეჭდება: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, სურათები ხალხის ცხოვრებიდან; ბიოგრაფიული მოთხრობები, მოგზაურობა, კვიზოდიური მოთხრობები ისტორიიდან, ამბები გეოგრაფიიდან და ბუნების მეცნიერებიდან; იგაკები, ანდაზები, გამოცანები, შინაობები, არითმეტიკული გამოცანები; სათამაშოები, რებუსები, სიმღერები ნოტებით და სხვ.

დამატებაში—მშობელთა და აღმზრდელთათვის—დაიბეჭდება: პედაგოგიური სტატიები მშობელთა და აღმზრდელთათვის შესახებ ყმაწვილების აღზრდისა და სწავლისა (პირველ დაწყებითი). კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული სტატიები პედაგოგიური თხზულებებისა. პედაგოგიური ჟრონიკა ჩვენი და უცხოეთის ცხოვრებიდან. ნარკვი. «ნობათი»-ს ფურცლ. განცხადებანი.

დამოუკიდებელი მონაწილეობა ყურნალ «ნობათ»-სა აღუ-
თქვას და მიიღებენ: თ. აკ. რ. წერეთელი, თ. რ. დ. ერის-
თავი, გ. ე. წერეთელი, თ. ნ. ტ. დადიანი, ი. ბაქრაძე, ე.
რ. გაბაშვილისა, ა. მ. მოხსუბარძე (ყაზბეგი) და სხვ.

ყურნალზე ხელის-მოწერა:

ყურნალი «ნობათი» ქალაქს გარეშე გაგზავნით და ქა-
ლასში დარჩებით ეღირება წელიწადში ოთხი მანეთი. ცალკე
ნომერი ათი მანეთი. მარტო ნახევარი წლით ხელის მოწერა
არ მიიღება.

სოფლის მასწავლებელთ შეუძლიანთ გამოგზავნონ: თავ-
და-პირველად—2 მან. და შემდეგ: მაისში—1 მან. და ენკე-
ნისთვეშიც—1 მან.

რომელთაც ამ რიგათ ხელის მოწერა ჭსურთ, პირ-და-
პირ რედაქციას უნდა მიმართონ.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში ყურნალი «ნობათი»-ს რედაქციაში, ალექსან-
დროვის ბაღთან, ხაზინის ქვემოთ, თუმანიშვილის სახლ. № 7
და შაკერდროვის წიგნის სააგენტოში.

ქუთაისში—ჭილაძის წიგნის მაღაზრიაში.

გორში—ეკ. ფურცელაძისას.

თელავში—ი. პ. როსტომიშვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію педагогиче-
скаго журнала «Нобати».

რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. ლულაძე.

ქ უ რ ნ ა ლ ი

«ქართული ბიბლიოთეკა»

(წელიწადი მეორე)

ამ 1884 წ. იანვრიდამ ყუჩნაღი «ქართული ბიბლიო-
თეკა» გამოკვა ყოკუღ თთვე-და-თთვე იმავე სახით და სიკრ-
ცით, რეგორც აქამომდე გამოდიოდა.

ხელის მოწერა მიიღება:

ქუთაისში «ქართული ბიბლიოთეკის» რედაქციაში, რე-
მედიც იმყოფება თფილისის ქუჩაზედ დ. ლორთქიფანიძის
სახლში. თფილისში: — ბ. შაქარია ჭიჭინაძესთან, ჩარკვიანის
წიგნის მაღაზრიაში. გორში: — ეკ. ფურცელაძისას. ბათუმში: —
იულია დავითის ასული ჩხეიძისას. თუთში: — ნატ. მაჭარა-
ვისას.

ფასი მთელის წლისა 6 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ამ ადრესით უნდა დაიბარონ
ყუჩნაღი: **ВЪ КутаисѢ, ВЪ редакцію журнала «ГРУ-
ЗИНСКАЯ БИБЛИОТЕКА».**

ხკედრი თუღი ხელის-მომწერთა ყუჩნაღის დაბარებისა-
თანავე უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.

რედაქტორი-გამომცემელი ეკ. ლორთქიფანიძისა.

съ 1-го января 1884 года

Въ Тифлисѣ будетъ издаваться

новая ежедневная (350 нумеровъ въ годъ) литературно-политическая газета

НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ

подъ редакціею А. В. СТЕПАНОВА (бывшій редакторъ «Юридическаго Обозрѣнія»)

Объемъ газеты — печатный листъ средняго формата; программа—общая всѣмъ литературно-политическимъ ежедневнымъ изданіямъ.

Подписная цѣна съ пересылкою и доставкою: на годъ—10 руб., на 6 мѣс.—6 р. на 3 мѣс.—3 р. 30 к., на 1 мѣс.—1 р. 50 к.

Подписка (городская и иногородная) и объявленія (по 5 коп. за строку петита) принимаются въ Тифлисѣ, исключительно въ Газетномъ Агенствѣ В. Шавердова; въ С.-Петербургѣ же и Москвѣ—въ книжныхъ магазинахъ «Новаго Времени».

За газетою обезпечено постоянное сотрудничество: кн. К. А. Бебутова. Вс. М. Гаршина, А. А. Измаилова, С. Н. Кривенко, Н. Я. Никладзе, П. А. Опочинина, А. Н. Плещеева, И. Ф. Гхоржевскаго. Гл. И. Успенскаго, и Н. А. Шаврова.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА ГАЗЕТУ

„КАВКАЗЪ“

на будущій 1884 годъ

Газета будетъ издаваться совершенно на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ прошломъ 1883 году, по той же программѣ и подъ тою же редакціею.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ: съ доставкою въ Тифлисѣ: на 1 годъ—11 руб. 50 к.; на 6 мѣс.—6 р.; на 3 мѣс.—3 р. 50 к.; на 1 мѣс.—1 руб. 50 к.

Съ пересылкою иногороднымъ: на годъ—13 р.; на 6 мѣс.—7 р.; на 3 мѣс.—4 р.; на 1 мѣс.—1 р. 75 к.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты «Кавказъ», на Дворцовой улицѣ, въ домѣ Сараджева, № 5. Иногородные подписчики адресуютъ свои требованія: въ Тифлисъ, въ редакцію газеты «Кавказъ».

Иногородные могутъ подписываться лишь съ 1-го числа каждаго мѣсяца.

Редакторъ-издатель кн. Д. Г. ЭРИСТОВЪ

განცხადება.

ამა 1884 წელს ჟურნალს «ივერიაზე» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შვიდი მახათი.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, სიმონ-სონოვის ქუჩაზე, 1-ს კლასიკურის გამნაზიის უკან, ნაზარცხის სახლებში, აგრეთვე შაკერდოვის სააგენტოში.

მუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში.

ბათუმში, წერა-გითხვის საზოგადოების სკოლის მასწავლებელ მ. ნათაძესთან.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთ წერილი ზ ფული შემდგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисѣ

Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუგიდეს, კთხოვით, მაღე აცნობოს რედაქციას.